პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 სექტემბერი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 226 (15743)

ხუთწლედი — ვადამდე!

- □ მოკრეფილია 278.075 ტონა ჩაის ფოთოლი.
- □ გეგმა-ვალდებულება შესრულებულია 98 პროცენტით.
- □ თელაველმა მევენახეებმა გააჩაღეს ყურძნის კრეფა.
- □ ზესტაფონსა და საჩხერეში საადრეო ყურძნის კრეფას შეუდგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს, თუ როგორ სრულდება გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხზე.

მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული მიმართულებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს.

პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოები ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებს. საქართველოს საწარმოებში და მშენებლობებზე განხორციელდა მძიმე და შრომატევადი სამუშაოების ავტომატიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, მოძველებული მოწყობილობის შეცვლის, ჰაერის გარემოს მდგომარეობისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მძიმეშედეგიანი საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების რიცხვი შესამჩნევად შემცირდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან.

მაგრამ შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ორგანიზატორული მუშაობის დონე ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნებს.

შრომისა და საწარმოო დისციპლინის, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევის გამო მიმდინარე წლის ექვს თვეში საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების საერთო რიცხვი რამდენადმე გაიზარდა კიდეც გასულ წელთან შედარებით.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა რესპუბლიკის მშენებლობის, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, აფეთქებებით სამუშაოების მწარმოებელი საკავშირო ტრესტის საქართველოს სპეციალიზებული სამმართველოს სისტემაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და ქიმიურ კომბინატში.

ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო ხელმძღვანელებმა ვერ შეიგნეს, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს, ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ პარტიისა და მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

მრეწველობისა და მშენებლობის მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები არ გრძნობენ პირად პასუხისმგებლობას ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისათვის და შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებს კვლავ ეკიდებიან როგორც მეორეხარისხოვან საკითხებს, ურიგდებიან ამ მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს.

ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობისა და უყაირათიანობის შედეგად ცალკეულ საწარმოებში არ ზრუნავენ ძირითადი საწარმოო ფონდების ჯეროვან წესრიგზე მოყვანისათვის, და ეს განაპირობებს ტრავმატიზმის კერების შექმნას.

ბევრ საწარმოში და მშენებლობაზე აგრეგატების, მანქანებისა და მოწყობილობის ნაწილი მორალურად და ფიზიკურად მოძველდა, მაგრამ მათ ექსპლოატაციას განაგრძობენ, რაც შრომის საშიშ პირობებს ქმნის. ზოგჯერ მოწყობილობას ნელი ტემპით ცვლიან, მისი შეკეთების გრაფიკს ხშირად არღვევენ.

სამეურნეო ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ურიგდებიან დადგენილი ტექნოლოგიური რეჟიმების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის ფაქტებს.

დანაშაულებრივი უდარდელობით უნდა აიხსნას მთელ რიგ ადგილებში არსებული სერიოზული ხარვეზები და შეცდომები ასაფეთქებელ მასალათა აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების საქმეში.

მთელი რიგი სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები დაუდევრად ეკიდებიან თვითეულ საწარმოო უბანზე შრომის ნორმალური პირობების შექმნას. მათ მხედველობიდან რჩებათ სამრეწველო სანიტარიის წესებისა და ნორმების დაცვის საკითხები. ეს ეხება თბილისის კერამიკული კომბინატის, რუსთავის საშენ მასალათა კომბინატის, თბილისის საფეიქრო-სატრიკოტაჟო ფაბრიკის, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“, საქვანახშირის კომბინატისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ბევრი შახტის და მაღაროთსამმართველოს და მთელი რიგი სხვა საწარმოების ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი ჯერ კიდევ საკმარისად არ იბრძვის ადგილებზე იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც წარმოშობენ ავარიებსა და უბედურ შემთხვევებს, არ სთხოვს სამეურნეო ხელმძღვანელებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შრომის უსაფრთხო პირობების შექმნას.

მთელ რიგ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში არ აბამენ ფართო აქტივს, არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრსა და შეუწყნარებლობის ვითარებას შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის, აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დამრღვევთა გარშემო.

სამინისტროები და უწყებანი ხშირად ფორმალურად განიხილავენ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებს.

არის შემთხვევები, როცა ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინრებად მუშაობენ პირნი, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები მათი ღვიძლი საქმეა, და ამ ბოლო დროს შეანელეს მუშაობა ამ დარგში, ხშირად ურიგდებიან შრომის დაცვის კომისიათა და უსაფრთხოების ტექნიკის საზოგადოებრივ ინსპექტორთა პასიურ პოზიციას.

შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები ხშირად მხედველობიდან რჩებათ სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებს.

შერჩევითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცალკეული საქალაქო და რაიონული კომიტეტები საკმარისად არ უწევენ კონტროლს სამეურნეო ორგანოთა საქმიანობას. ბევრი პარტიული კომიტეტი ლიბერალურად ეკიდება იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ავარიებსა და საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევებში, არ აძლევენ მწვავე პარტიულ შეფასებას სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ ხელს შეუწყობს შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. დადგენილებაში აღნიშნულია ამ საქმეში საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პროფკავშირთა რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების როლი.

(საქინფორმი).

შეჯიბრების მოწინავენი

რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ფართო ფრონტით არის გაშლილი საბინაო მშენებლობა. მშენებლების გამართული, რიტმული მუშაობა ძირითადად დამოკიდებულია საკედლე და სხვა ასაწყობი ბლოკების გრაფიკით მიწოდებაზე. ბინათმშენებლებს საკედლე ბლოკებით ძირითადად ამარაგებს ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ № 3 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა. გონივრულად მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად აქ პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. წარმატებით შრომობენ სექტემბერშიც. ქარხანაში აითვისეს და მალე დაიწყებენ რკინაბეტონის მზა ოთახების გამოშვებას, რომლებსაც მშენებლობაზე დაამონტაჟებენ. ეს სიახლე ორჯერ გაზრდის მშენებლების შრომის ნაყოფიერებას. სურათზე: ამწის მემანქანე, კომკავშირელი მ. ნაროუშვილი, რომელიც ცვლის დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ხ. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

285000 ტონა ჩაისათვის

კრეფის სეზონი იწურება, ვალდებულება უნდა შესრულდეს

ჩვენი მიმოხილვა

დადგა მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების გადამწყვეტი პერიოდი. სეზონის დამთავრებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ახლა, სექტემბერში დარჩენილ დროში, გამოჩნდებიან გამარჯვებულნი. მეჩაიეები უკვე მიუახლოვდნენ მიზანს. ჩვენს ხელთ არის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 24 სექტემბრის ცნობები. სულ მოკრეფილია 278.075 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ნაკისრი ვალდებულების 98 პროცენტს შეადგენს. შარშან ამავე დროისათვის მოკრეფილი იყო 270.315 ტონა.

როგორია მეჩაიეობის რაიონებში ჩაის კრეფის მიმდინარეობა? ბევრგან კარგად მიდის კრეფა. ნაკისრი ვალდებულება აფხაზეთის შემდეგ პირველად შეასრულა გეგეჭკორის რაიონმა და ახლა ახალი ვალდებულების შესასრულებლად იბრძვის. აფხაზეთის მეჩაიეებმა მოკრიფეს 54.687 ტონა ჩაის ნედლეული. კიდევ მოსაკრეფი დარჩათ 800 ტონა ჩაის ფოთოლი.

აჭარის მეჩაიეებს ვალდებულების შესასრულებლად კვლავ დიდი რაოდენობით აქვთ მოსაკრეფი. 44.000 ტონიდან მოკრეფილია 42.239 ტონა.

განსაკუთრებით ეს დანაკლისი მოდის ქობულეთის რაიონზე, აქ 30.100 ტონიდან მოკრიფეს 29.014 ტონა. ჩამორჩენის გამოსწორებისათვის ბევრი სამუშაო აქვთ მახარაძელ მეჩაიეებს. მათი ვალდებულება 50.700 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებს, მოკრეფილი აქვთ 48.110 ტონა, რაც გეგმა-ვალდებულების 95 პროცენტს შეადგენს.

დღემდე ვერც ზუგდიდელებმა გამოასწორეს ჩამორჩენა. 37.667 ტონიდან მოკრეფილია 36.247 ტონა ჩაის ფოთოლი. წალენჯიხელებს წლიური გეგმა-ვალდებულება შესრულებული აქვთ 96 პროცენტით, ჩხოროწყუელებს — 96, წყალტუბოელებს — 94, წულუკიძელებს — 95 პროცენტით. ხობის, ჩოხატაურის რაიონებში და ტყიბულში უკვე მიუახლოვდნენ გეგმა-ვალდებულების შესრულებას.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებს მოკრეფილი აქვთ 61.670 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმა-ვალდებულების 101 პროცენტს შეადგენს.

მეჩაიეებო, ჩაის კრეფის სეზონი იწურება. თვითეული დღე გადაწყვეტს წარმატების ბედს.

ლენინის ორდენოსნები

□

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისა და 1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ:

მერი ბრიგოლაშვილი,

ხობის რაიონის ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის მწველავი.

ლენა ჯავახიშვილი,

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე.

ნოდარ ჯანაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი.

მათიკო კოჩანაშვილი,

ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანის მენადირეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი.

დავაჩქაროთ კარტოფილის დამზადება

გაჩაღდა კარტოფილის ამოღებისა და დამზადების სამუშაოები. წელს სულ უნდა დამზადდეს 83.250 ტონა კარტოფილი. მარტო თბილისისა და რუსთავის მშრომელებისათვის საზამთროდ შენახულ უნდა იქნას 22.000 ტონა.

როგორია ამჟამად კარტოფილის დამზადების მდგომარეობა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 24 სექტემბრის ცნობები. მეკარტოფილეობის რაიონების უმრავლესობაში ეს სამუშაო გაჩაღდა. ახალციხის რაიონში უნდა დაამზადონ 11.750 ტონა, დამზადებულია 2.186 ტონა კარტოფილი. კარტოფილის დიდმა მწარმოებელმა — წალკის რაიონმა უნდა დაამზადოს 23.810 ტონა. უკვე დაამზადეს პირველი ასობით ტონა კარტოფილი და ამ დღეებში მასობრივად შეუდგებიან კარტოფილის ამოღებას.

ადიგენელებმა 2.370 ტონიდან დაამზადეს 593 ტონა კარტოფილი, თეთრიწყაროელებმა 2.595 ტონიდან — 1.188 ტონა, დმანისელებმა 9.240 ტონიდან — 4.936 ტონა. ხაშურელებს კარტოფილის დამზადების გეგმა შესრულებული აქვთ 55 პროცენტით, ბორჯომელებს — 24, თიანელებს — 13 პროცენტით.

ბოლნისელმა მეკარტოფილეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.528 ტონა კარტოფილი, ეს გეგმა-ვალდებულების 155 პროცენტს შეადგენს. გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში კარტოფილის დამზადების გეგმები უკვე შეასრულეს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში წელს უნდა დამზადდეს 1593 ტონა კარტოფილი, დამზადებულია გეგმის 19 პროცენტი, აფხაზეთში გეგმა შესრულებულია 34 პროცენტით, აჭარაში კი 3 პროცენტით.

კარტოფილის ერთ-ერთ დიდ მწარმოებელს — ახალქალაქის რაიონს ნაკისრი აქვს ვალდებულება სახელმწიფოს მიჰყიდოს 18.612 ტონა კარტოფილი. 24 სექტემბრისათვის კარტოფილის დამზადება არ ჰქონდათ დაწყებული, ასევეა ბოგდანოვკის რაიონშიც. საჭიროა მკვეთრად გაძლიერდეს კარტოფილის ამოღებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ტემპი, რათა ყინვებმა არ მოუსწროთ მეკარტოფილეებს.

ცხრა თვის გეგმა შეასრულეს

ზესტაფონი. ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში საქკაბელის ქარხნის კოლექტივმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა 19 სექტემბრისათვის გავანაღდეთ. თვის ბოლომდე მეოთხე კვარტალის ანგარიშში გამოვუშვებთ 240 ათასი მანეთის სხვადასხვა ზომის კაბელს.

ეს რედაქციას აცნობა საქკაბელის ქარხნის დირექტორმა დ. კუხიანიძემ.

ხაშური. მეკონსერვეებმა გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შრომითი წარმატებები მოიპოვეს. მესამე კვარტალის გეგმა 19 სექტემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდეს. ახლა იმისათვის ვიბრძვით, რომ წლიური გეგმა ვადამდე შევასრულოთ და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცეთ ათეულ ათასობით ქილა კონსერვი.

ეს რედაქციას აცნობა ხაშურის საკონსერვო ქარხნის დირექტორმა გ. ტაბატაძემ.

მევენახეთა ღირსების საქმე

იკრიფება რქაწითელი, საფერავი



თელავი. (საქ. კორ.). ყურძნის კრეფას შეუდგნენ თელავის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. რთველი პირველმა დაიწყეს აკურის, ვანთის, ბუშეტის, კონდოლის, ართანის, ფშაველის კოლმეურნეობებმა, ნაფარეულის, წინანდლისა და კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა.

კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის კრეფა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, მევენახეები ძალღონეს არ ზოგავენ რთველის მოკლე დროში და უდანაკარგოდ ჩატარებისათვის. მოსავალი კარგია, მოკრეფილი ვენახებიდან ცხადი ხდება, რომ კისისხეველები გეგმით გათვალისწინებულზე მეტ ყურძენს ჩააბარებენ სახელმწიფოს. ორ დღეში მეურნეობიდან 160 ტონაზე მეტი ყურძენი გაიგზავნა ღვინის ქარხანაში.

წარმატებით დაიწყო რთველი წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აგროგანყოფილებები და ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაქსიმალურად იყენებენ თვითეულ საათს, რათა ნაჯაფ-ნაშრომი მოსავალი, რაც შეიძლება სწრაფად და უდანაკარგოდ დააბინაონ. ყურძნის უხვი მოსავალი აქვს განსაკუთრებით იმ განყოფილებას, რომელსაც აგრონომი ალ. ფირანიშვილი ხელმძღვანელობს. განყოფილება 194 ჰექტარი მოსავლიანი ვენახიდან გეგმით გათვალისწინებული 887 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 943 ტონის ნაცვლად 1.000 ტონა ყურძნისათვის იბრძვის. განყოფილებამ ორ დღეში 120 ტონაზე მეტი ყურძენი მიუწონა ღვინის ქარხანას. სულ საბჭოთა მეურნეობამ უკვე 400-მდე ტონა ყურძენი მოკრიფა.

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ღვინის ქარხნებს პირველ ორ დღეში ათასამდე ტონა ყურძენი ჩააბარეს.

ყურძენი საკარმიდამოდან

● **კვალითის** ღვინის ქარხანამ მიიღო და გადაამუშავა 90 ტონა საადრეო ყურძენი. „პატარა რთველი“ ორგანიზებულად დაიწყო არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ალავერდისა და ფუთის კოლმეურნეობებში.

საზოგადოებრივ ზვრებში მოკრეფილია 80 ტონაზე მეტი ყურძენი. სახელმწიფო მარანში საადრეო ყურძენი მიაქვთ საკარმიდამო ნაკვეთებიდან. ზედასაქარელმა კონსტანტინე არაბიძემ ღვინის ქარხანაში მიიტანა საკარმიდამოზე მოკრეფილი 460 კილოგრამი ყურძენი, ხოლო ვახტანგ მაღლაკელიძემ — 420 კილოგრამი. ზესტაფონელი მევენახეები სულ მალე დაიწყებენ „დიდ რთველსაც“.

● საადრეო ყურძნის კრეფა დაიწყო საჩხერის რაიონშიც. 24 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 63 ტონა ყურძენი. მარტო საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ღვინის ქარხანაში მიიტანეს 62 ტონაზე მეტი ყურძენი.

1.500 კილოგრამს მივყიდი

საკარმიდამოზე მაქვს ვენახი. სათანადო მოვლის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჩანს. გადავწყვიტე საკარმიდამოზე მოყვანილი 1.500 კილოგრამი ყურძენი მივყიდო სახელმწიფოს.“

კირილე სიჭინავა,

ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ეძღვნება მუშათა კლასს

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „მუშათა კლასი მსოფლიო რევოლუციური პროცესის წამყვანი ძალაა“. წიგნი დაწერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა. წიგნი წარმოდგენას იძლევა იმ ნამდვილ პროცესებზე, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე მუშათა კლასის სახეს, მისი ცალკეული რაზმების სპეციფიკაზე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მათ ადგილზე, საზოგადოებრივ განვითარებაში, და, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ძირეულ, რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში მათ როლზე. (საკდესი).

„სკკპ ისტორიის“ სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა „სკკპ ისტორიის“ სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა. წიგნში გაშუქებულია პარტიის ცხოვრება და საქმიანობა, მათ შორის მისი მრავალმხრივი ნაყოფიერი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის, სკკპ XXIII და XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებისა და პარტიის ახალი პროგრამის საფუძველზე საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნისტური საზოგადოების აშენების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების მიზნით.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია ახალი პარტიული დოკუმენტები, გათვალისწინებულია მისი განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები და სურვილები. წიგნს დაემატა მასალები სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ. (საკდესი).

ახალი უმაღლესი სასწავლებელი ტაჯიკეთში

დუშანბე, 17 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს ტაჯიკეთის დედაქალაქში გაიხსნა ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი. იგი შეიქმნა დუშანბეს პედაგოგიური ინსტიტუტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე. ახალ სასწავლებელში სამი ფაკულტეტია, რომლებიც მოამზადებენ დრამატული და მუსიკალური თეატრების მსახიობებს, მუსიკოს-შემსრულებლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს. პედაგოგიურ სამუშაოზე მიწვეული არიან კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

ხელოვნების ინსტიტუტი რესპუბლიკის მეცხრე უმაღლესი სასწავლებელია.

მინდვრებმა წყალი მიიღეს

ერევანი. (საკდესის კორ.). დამთავრდა 16 კილომეტრი სიგრძის არხის მშენებლობა, რომელიც მორწყავს სომხეთის რამდენიმე მეურნეობის ფართობებს. არხმა ათასობით ჰექტარი მიწა გადააქცია ნაყოფიერ მიწებად. მისი საშუალებით დაიწყო ათას ჰექტარამდე მთიანი ამასის რაიონის მეურნეობათა სათესი ფართობების რწყვა.

წელს სომხეთში სარწყავი მიწების ფართობი უნდა გაიზარდოს 11 ათასი ჰექტარით.

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

26 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. დ. კიკნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობის სპეციალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს „დაიმლერ-ბენცის“ ფირმის პრეზიდენტი იოჰიმ ცანი. დელეგაცია, რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა თბილისს, საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით.

შ. დ. კიკნაძესა და ი. ცანს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ავტომობილმშენებელთა შორის კონტაქტების დამყარების საკითხებს.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. პ. ზედგინიძე, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ვ. ლომიძე, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ვ. ი. ხარებავა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მანქანების მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი რ. რ. დვალი, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. ი. ბეთანელი.

საუბარს დაესწრნენ „დაიმლერ-ბენცის“ ფირმის გამგეობის წევრი ვ. კუნქლე, ფირმის დირექტორი ექსპორტის დარგში ე. კრამპე, ფირმის რეფერენტი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში ვ. შტანგე.

იმავე დღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახელით „დაიმლერ-ბენცის“ ფირმის პრეზიდენტის ი. ცანის პატივსაცემად გაიმართა ვახშამი. (საქინფორმი).

27 სექტემბერს, დღის 3 საათზე, გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — **სამეცნიერო სესია,** მიძღვნილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, პროფესიონალი რევოლუციონერის **შალვა ზურაბის-ძე ელიავას** დაბადების 90 წლისთავისადმი.

სესია გაიმართება ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო დღეს

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ ტაშკენტში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც უზბეკეთის სს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემას მიეძღვნა, მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესი და მრავალი გამოხმაურება გამოიწვია.

ნიუ-იორკი. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" აღნიშნავს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა „კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია შეერთებულ შტატებთან უკეთესი ურთიერთობის მიღწევით". „ამასთან, — ხაზს უსვამს გაზეთი, — მან განაცხადა რომ მტკიცებანი იმის შესახებ, თითქოს ორ ზესახელმწიფოს ეკისროს სხვა ხალხთა ბედის გადაწყვეტის უფლება, ეწინააღმდეგება საბჭოთა პოლიტიკას, აზრსა და სინამდვილეს".

ლონდონი. ინგლისის გაზეთების უმრავლესობამ დაბეჭდა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დაწვრილებითი შინაარსი. „გარდიანი" ცნობას ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ ბეჭდავს პირველ ფურცელზე სათაურით „ჩინეთმა უკუაგდო საბჭოთა კავშირის წინადადება". „დეილი ტელეგრაფი" აგრეთვე აღნიშნავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არ უპასუხა საბჭოთა კავშირის წინადადებას.

„ლ. ი. ბრეჟნევი მოუწოდებს თანამშრომლობისათვის აზიაში", — ამ სათაურით მოჰყავს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი გაზეთ „მორნინგ სტარს".

პარიზი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, აღნიშნავს ფრანგული გაზეთი „იუმანიტე", „აფრთხილებს იმ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთს წაჰკიდონ საბჭოთა კავშირი და ჩინეთი". მან ხაზი გაუსვა, რომ ამ ქვეყნების ყოველ კონფლიქტს ტრაგიკული შედეგები მოჰყვება დანარჩენი კაცობრიობისათვის.

„სსრ კავშირი კვლავინდებურად მზად არის მოაწესრიგოს ურთიერთობა ჩინეთთან, მაგრამ ჩინეთის ხელმძღვანელები კვლავ აშკარა ანტისაბჭოურობის გზას ადგანან", — წერს „ფიგარო".

ბონი. გაზეთი „კელნერ შტადტ-ანცაიგერი" წერს: „ბრეჟნევმა მოწონებით ილაპარაკა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. მან ეს დაახასიათა როგორც „ჩვენს პლანეტაზე საერთაშორისო კლიმატის ძირეული შეცვლის საერთო პროცესის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა აგრეთვე, რომ დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების საქმეს ემსახურებიან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და საფრანგეთთან საბჭოთა კავშირის მიერ დადებული ხელშეკრულებანი".

ტოკიო. ყველა ცენტრალურ გაზეთს ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შესახებ ცნობის სათაურებში გამოაქვს სიტყვები, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრის კ. ტანაკას ვიზიტი საბჭოთა კავშირში შეიძლება გახდეს დიდმნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის ახალ განვითარებაში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პირველად საჯაროდ მიესალმება სსრ კავშირში პრემიერ-მინისტრის კ. ტანაკას ვიზიტს.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, წერს გაზეთი „ნიჰონ კეიძაის" მოსკოველი კორესპონდენტი, რომ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა შეიცავს მოწოდებას — გამოვიჩინოთ კეთილი ნება და მისწრაფება ორი ქვეყნის ურთიერთკავშირებისა და ინტერესების პატივისცემისადმი. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის აზრით, საბჭოთა კავშირში კ. ტანაკას მომავალი ვიზიტი შეიძლება გახდეს ნაბიჯი მთელ მსოფლიოში პოლიტიკური დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების გზაზე.

დელი. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას დიდი სათაურებით თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავს ინდოეთის ყველა გაზეთი. „საბჭოთა ხელმძღვანელი მოუწოდებს განამტკიცონ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა აზიაში მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ", — აღნიშნავს გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი". „ბრეჟნევი მიესალმება ინდოეთის თვალსაჩინო როლს, როგორც აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ფაქტორს", — აღნიშნავს ყოველდღიური გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია". „მალე გადაიდგმება ახალი ნაბიჯები ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების გზაზე", — აღნიშნავს დემოკრატიული წრეების ორგანო გაზეთი „პეტრიოტი".

ინდოეთისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობას მტკიცე ადუღაბებს საერთო მიზანი — ბრძოლა მშვიდობისათვის, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის სრულიად ინდოეთის კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ქალბატონმა პურაბი მუკერჯიმ.

დაკა. „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი: მდგომარეობა აზიაში უმჯობესდება" — ამ სათაურით ბენგალიურ ენაზე გამომავალმა გაზეთმა „ბანგლარ ბანიმ" დაბეჭდა ტაშკენტში გამართულ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსი. გაზეთი აღნიშნავს იმ პოზიტიურ როლს, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები, აგრეთვე ინდოეთი და ავღანეთი ასრულებენ აზიაში მშვიდობიანი თანამშრომლობის მოგვარებისათვის.

(საქდესი, 25 სექტემბერი).

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გაავრცელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პრეს-რელიზად გაავრცელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ტაშკენტში მიმდინარე წლის 24 სექტემბერს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე.

დარბაზობა ჯ. ბიედიჩის პატივსაცემად

ბელგრადი. 26 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელიც იუგოსლავიაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება, გუშინ სალამოს დარბაზობა გამართა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის ჯ. ბიედიჩის პატივსაცემად.

სტუმრებს შორის დარბაზობაზე იყვნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრები, საკავშირო სკუპშჩინის ხელმძღვანელი მოღვაწენი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, იუგოსლავიის სახალხო არმიის გენერლები და ოფიცრები, საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და წევრები, ჟურნალისტები. დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა ოფიციალური პირნი, რომლებიც თან ახლავან ა. ნ. კოსიგინს, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ვ. ი. სტეპაკოვი.

დარბაზობამ მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა.

„სქაილების" ფრენა დამთავრდა

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საქდესი). საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რომ დედამიწაზე დაბრუნდა ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონი" და აღნიშნავენ, რომ ხომალდი სადგურს გამოეყო ზუსტად გაანგარიშებულ დროში. მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე ძრავების ოთხი ბლოკიდან წესიერ მდგომარეობაში იყო მხოლოდ ორი, ფრენის პროგრამით გათვალისწინებული ყველა მანევრი წარმატებით შესრულდა.

გამოყოფილი ეკიპაჟის ნავკვეთური წყლის ზედაპირზე დაეშვა 01 საათსა და 19 წუთზე, გაანგარიშებულ წერტილთან ახლოს, 10 კილომეტრში ვერტმფრენმზიდიდან — „ახალი ორლეანიდან".

როგორც კი წყლის ზედაპირზე დაეშვნენ, კოსმონავტებმა გადმოსცეს, რომ ყველაფერი წესრიგშია და ასრულებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ ოპერაციებს.

მას შემდეგ, რაც „ახალი ორლეანის" გემბანზე აიტანეს ნავკვეთური, რომელშიც კოსმონავტები იყვნენ, გახსნეს ლუკი და ნავკვეთურში შევიდა ექიმი, წნევა და მაჯისცემა კოსმონავტებს ნორმალური აღმოაჩნდათ. კოსმონავტები დამოუკიდებლად გამოვიდნენ ნავკვეთურიდან გემბანზე. სამედიცინო შემოწმების შედეგებმა ცხადყვეს, რომ კოსმონავტები შედარებით უმტკივნეულოდ იტანენ დაბრუნებას დედამიწის მიზიდულობის პირობებში — უფრო კარგადაც კი, ვიდრე „სქაილების" სადგურის პირველი ეკიპაჟი, რომელმაც კოსმოსში 28 დღე-ღამეს დაჰყო.

პროგრამის თანახმად, 27 სექტემბერს საღამოს (ადგილობრივი დროით) კოსმონავტები უნდა ჩაიყვანონ ჰიუსტონში. იქვე ჩაიტანენ ეკიპაჟის ნავკვეთურს ექსპერიმენტთა შედეგებით. ნავკვეთურში არის, კერძოდ, კონტეინერები, რომლებშიც ობობებია (ერთ-ერთი მათგანი ცოცხალია), და აკვარიუმი თევზებითურთ.

მეორე ეკიპაჟმა კოსმოსში გაატარა 59 დღე-ღამე, 11 საათი 9 წუთი და 4 წამი. მან 859-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. განვლილი მანძილის საერთო სიგრძემ 39 მილიონი კილომეტრი შეადგინა.

განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

ჟენევა, 25 სექტემბერი. (საქდესი). დღეს აქ განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. სსრ კავშირის დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — საგანგებო დავალებათა ელჩი ა. ჯონსონი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილება

პრაღა, 26 სექტემბერი. (საქდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტოს ჩილესთან. ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადასცა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჩილეს სამხედრო ხუნტა, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება, ახშობს დემოკრატიულ თავისუფლებებს, დაითხოვა კონსტიტუციური ხელისუფლების ორგანოები, დევნის სახალხო ერთიანობის ბლოკის პროგრესულ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამ სისხლიან ტერორს თან ახლავს ანტიკომუნისტური ისტერია. ჩეხოსლოვაკიის საელჩოს ჩილეში არა აქვს ყველაზე ელემენტარული პირობები თავისი ფუნქციების შესასრულებლად. ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ჩილესთან.

შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საქდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. დუგლას-ჰიუმი.

ა. ა. გრომიკომ და ა. დუგლას-ჰიუმმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის მდგომარეობა და ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიის მუშაობას.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკო შეხვდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს რ. კირხშლეგერს. საუბრის დროს ისინი შეეხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიის საკითხებს.

ა. ა. გრომიკო ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიის თავმჯდომარეს ლეოპოლდ ბენიტესს (ეკვადორი).

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. ფერფლიდან აღორძინებული, ქალაქი-ფენიქსი — ასე უწოდებენ სკოპლეს — მაკედონიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქს. ეს ძველი სლავური ქალაქი მდინარე ვარდარზე, ათი წლის წინათ მიწისძვრამ რომ საფუძვლამდე დაანგრია, აღდგენილია და კიდევ უფრო ლამაზი გახდა, ვიდრე წინათ იყო. სკოპლეს აღდგენის ისტორია საერთაშორისო სოლიდარობის ისტორიაა, მაგალითია უანგარო დახმარებისა, რომელსაც ათობით ქვეყანა უწევდა ამ ქალაქს.

ტანიუგ-საქდესის ფოტო.

ხუნტა აძლიერებს რეპრესიებს

ლონდონი, 26 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ სანტიაგოში გაიმართა მსოფლიოში ცნობილი პოეტის პაბლო ნერუდას დაკრძალვა, რომელიც გადაიქცა სამხედრო ხუნტის სისხლიანი ტერორის გამო ხალხის აღშფოთების, დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალებისადმი ჩილელთა ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად. როგორც ჩილედან იუწყებიან, სასტიკი რეპრესიების, თვითნებური ჩხრეკა-დაპატიმრებების მიუხედავად, რომლებსაც მხედრიონი აწყობს დედაქალაქის ქუჩებში, პოეტთან გამოსათხოვებლად ასობით ადამიანი მოვიდა, როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, ქალაქის სასაფლაოს ალყა შემოარტყეს ჯარებმა. მაგრამ ამას არ შეუშინებია სამგლოვიარო პროცესიის მონაწილენი. ისინი ერთხმად გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ჩილეს!", „გაუმარჯოს თავისუფლებას!", „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!", „ძირს ფაშიზმი!".

პოეტის ცხედარს მიწას რომ აბარებდნენ, პროცესიის მონაწილენი მღეროდნენ „ინტერნაციონალს".

ნიუ-იორკი, 26 სექტემბერი. (საქდესი). სამხედრო ხუნტა, რომელიც ცდილობს გატეხოს პატრიოტთა წინააღმდეგობა, აძლიერებს ტერორს. კომუნისტური, სოციალისტური და სხვა პროგრესული პარტიების აკრძალვას მოჰყვა ქვეყნის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების — ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფცენტრის დათხოვნა. სპეციალური განკარგულებით პოსტებიდან გადააყენეს სახალხო ერთიანობის მთავრობის დროს არჩეული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

როგორც გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტი წერს, სანტიაგოსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში გრძელდება მასობრივი დაპატიმრებანი. დედაქალაქში ოდნავი ეჭვით ჯარისკაცები აპატიმრებენ ასობით ადამიანს. მეამბოხენი სპობენ ლიტერატურას ბიბლიოთეკებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში. ხშირად განურჩევლად წვავენ ქუჩაში ყველა წიგნსა და სხვა გამოცემებს.

ამერიკის პრესა აქვეყნებს მოწმეთა ნაამბობს, რომლებიც ჩილეში გადატრიალების პერიოდში აღმოჩნდნენ. მაგალითად, ეს-ესაა სანტიაგოდან დაბრუნებულმა ექიმმა ფ. პოლაკოფმა ნიუ-იორკში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ, რამდენადაც იცის, სამხედრო რეჟიმის მსხვერპლთა რიცხვი 25 ათას აღწევს. პოლაკოფმა საკუთარი თვალით ნახა ხუნტის ბრძანებით დანგრეული ღატაკთა სახლები.

ბოგოტა, 26 სექტემბერი. (საქდესი). „რეპორტაჟი ფაშისტური ჯოჯოხეთიდან", — ასეთი სახელწოდებით გაზეთ „ტიემპოში" სტატიების სერიის გამოქვეყნება დაიწყო კოლუმბიელმა ჟურნალისტმა ენრიკე სანტოს კალდერონმა, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა ჩილეს მხედრიონის მხეცობა. „პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ფიზიკური მოსპობა, — წერს კალდერონი, — სამხედრო დიქტატურის მთავარი მიზანი გახდა". ყოველდღე მოდის ახალ-ახალი ცნობები დაპატიმრებებისა და დახვრეტის შესახებ.

დაძაბულობიდან — დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომელმაც დღეს სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიაზე ზოგადპოლიტიკური დისკუსიის დროს, აღნიშნა, რომ გასული წელი მდიდარი იყო დიდი საერთაშორისო მოვლენებით. მთავარი, რაც ახასიათებს ამ მოვლენათა მთელ ერთობლიობას, ის არის, რომ ვითარდება და მკვიდრდება შემობრუნება მსოფლიოში დაძაბულობის ხანგრძლივი პერიოდიდან დაძაბულობის შენელებისა და საქმიანი თანამშრომლობისაკენ. ამ თვალსაზრისით განვლილ წელს შეიძლება გარკვეული აზრით გარდამტეხი ვუწოდოთ.

ბოლო მოეღო ომს ვიეტნამში. ვიეტნამელი ხალხის სამართლიანმა საქმემ სერიოზული გამარჯვება მოიპოვა.

სამხრეთ აზიაში ხორციელდება ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო შენელდეს დაძაბულობა, რომელსაც წარსულში არაერთხელ მოჰყოლია აშკარა კონფლიქტები. სასიხარულოა, რომ ამ პროცესში ჩაება სუბკონტინენტის სამივე სახელმწიფო — ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში.

პრაქტიკულად მალე შესრულდება ევროპის აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის ამოცანა. სრულიად ევროპის თათბირის მოწვევამ დასაბამი მისცა ახალ და უაღრესად დიდმნიშვნელოვან ეტაპს მთელი კონტინენტის მასშტაბით უშიშროების უზრუნველყოფასა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ორგანიზაციაში.

სუსტდება მსოფლიოს ორ საზოგადოებრივ სისტემას შორის გლობალური შეტაკების საფრთხე. მთელ მსოფლიოში სწორედ ასე აფასებენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც დაიდო ამერიკის შეერთებულ შტატებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს ახლა არათუ აღიარებენ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობის ერთადერთ შესაძლებელ საფუძვლად, არამედ სულ უფრო სრულად ნერგავენ პრაქტიკაში, ხორცს ასხამენ ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. დაძაბულობის შენელების პროცესი მთელი სიღრმე-სიგანით ვითარდება, და ეს პროცესი მოიცავს სულ უფრო მეტ სახელმწიფოს, ეხება მათი ურთიერთობის სულ უფრო მნიშვნელოვან სფეროებს.

ეს საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, როგორც ამასწინანდელ გამოსვლაში აღნიშნა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, რომ „ახლანდელი დაძაბულობის შენელება დროებითი მოვლენა კი არა, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის ფუნდამენტური გარდაქმნის დასაწყისია".

ის, რომ სულ უფრო იმარჯვებს დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის ტენდენცია, მიგვაჩნია აგრეთვე იმის დადასტურებად, რომ სწორია საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული საგარეოპოლიტიკური კურსი.

ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა მუდამ იყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დევიზი, მისი უცვლელი მიზანი. ახლა ყოველი უწინაზრახვო ადამიანისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის არა კონიუნქტურული, არამედ ხანგრძლივი, მუდმივი პოლიტიკა. მას განაპირობებს თვით ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი.

ალბათ არ გამოინახება არც ერთი მთავრობა, აღნიშნა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, რომელიც არ აცხადებდეს, რომ მშვიდობა, მტკიცე მშვიდობა, მარადიული მშვიდობაც კი სურს, მაგრამ ასეთ განცხადებებს ყოველდღიური, გულმოდგინე მუშაობა უნდა განამტკიცებდეს.

სწორედ ამისათვის მოუწოდებენ ქვეყნებს საბჭოთა კავშირი და ჩვენი მოკავშირეები. და არა მარტო მოუწოდებენ, არამედ ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაციით, საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების გათვალისწინებით იჩენენ კონკრეტულ ინიციატივებს. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ამასწინანდელ ყირიმის შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად საჭიროა ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ ერთად განამტკიცოს მიმდინარე ძვრები საერთაშორისო ასპარეზზე, თანმიმდევრულად განახორციელოს დადებული შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი, განუხრელად ესწრაფოდეს მთავარ მიზანს — მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დაძაბულობის შენელებას ჰყავს მოწინააღმდეგენი, რომელთა წინააღმდეგობა არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ.

მაგრამ დაძაბულობის შენელებას მსოფლიოში უფრო მეტი მომხრე ჰყავს, და ახლა საქმე ის არის, რომ მათი აქტივობა კი არ შენელდეს, არამედ გაიზარდოს.

დაძაბულობის შენელების პირობებში, აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, ფართოვდება მიუმხრობელი და ნეიტრალური სახელმწიფოების შესაძლებლობანი, რათა დადებითი გავლენა მოახდინონ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე. ბევრი სასარგებლო წამოწყება, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ხორციელდება ამ ქვეყნების პოლიტიკური ავტორიტეტის მეოხებით. მიუმხრობელი ქვეყნების ალჟირის IV კონფერენციის შედეგებმა კვლავ ცხადყო, რომ იმ შემთხვევებში, როცა მისი მონაწილენი მხარს უჭერენ დაძაბულობის შენელებასა და თანამშრომლობას, ილაშქრებენ აგრესიის ძალებისა და ხალხთა ჩაგვრის ძალების წინააღმდეგ, მათი მოთხოვნა დამაჯერებლად და ავტორიტეტულად გაისმის.

თავისი ბუნებით დაძაბულობის შენელება ვერ შემოიფარგლება რამდენიმე სახელმწიფოს ანდა ცალკეული გეოგრაფიული რაიონების ურთიერთობის გაუმჯობესებით. შეუქცევადი ხასიათი რომ მიენიჭოს, იგი ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი, საბოლოო ანგარიშით საყოველთაო უნდა გახდეს.

დაძაბულობის შემდგომი შენელების ღონისძიებანი ვერ ჩაიკეტება მხოლოდ მთავრობის კაბინეტებში. ისინი, თქვა ა. ა. გრომიკომ, უნდა განამტკიცოს სულ სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების ფართო და შეუნელებელმა საქმიანობამ მშვიდობის სასარგებლოდ. პარლამენტარებსა და საქმიან წრეებს, პოლიტიკურ პარტიებსა და პროფკავშირულ გაერთიანებებს, ახალგაზრდათა და ქალთა კავშირებსა და ვეტერანთა ორგანიზაციებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი როლი, თუ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იმუშაონ მშვიდობის საკეთილდღეოდ. მტკიცე მშვიდობისათვის მოძრაობა მოითხოვს მილიონობით ადამიანის მონაწილეობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არის ომის საფრთხის კერები, და განაცხადა, რომ ინდოჩინეთში პოლიტიკური მოწესრიგების ბოლომდე მიყვანის საშუალება ის არის, რომ ყველა მხარემ ზუსტად დაიცვას პარიზის შეთანხმებანი ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, პატივი სცეს ლაოსში მიღწეულ შეთანხმებებს, საშუალება მისცეს კამბოჯელ ხალხს საშინაო საქმეები გადაწყვიტოს უცხოეთის ჩაურევლად, თავის შეხედულებისამებრ.

ინტერნაციონალიზმის რწმენისადმი ერთგული საბჭოთა კავშირი კვლავაც საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მხარში ედგება ინდოჩინეთის პატრიოტულ ძალებს.

ახლო აღმოსავლეთში, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, იმის გამო, რომ გრძელდება ისრაელის აგრესია, ომის ცეცხლი შეიძლება ყოველ წუთს ამოვარდეს.

ვერც ერთ არაბს ვერ შთააგონებ აზრს, რომ უნდა შეურიგდეს არსებულ მდგომარეობას. არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც დაზარალდნენ იმპერიალისტური აგრესიის გამო, სურთ მხოლოდ ერთი რამ — დაიბრუნონ ის, რაც მათ წაართვა ძალმომრეობამ, და ისინი მართალი არიან.

საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად დარწმუნებულია, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას. ამის საფუძველი არის. მას შეადგენენ უშიშროების საბჭოს ცნობილი გადაწყვეტილებანი.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოზიცია ნათელია: ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა უნდა მოწესრიგდეს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის მთელი ჯარების გაყვანის, ამ რაიონის სახელმწიფოებისა და ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის დამოუკიდებლობისა და ხელშეუვალი უფლებების პატივისცემის საფუძველზე.

პრობლემათა პრობლემაა, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, გამალებული შეიარაღება, რომელიც გრძელდება. დღეს სამხედრო საჭიროებებს უწინდებურად უზარმაზარი რესურსები ხმარდება. არ წყდება სამხედრო პროგრამების შემუშავება.

სულ ახლახანს გადალახულია დიდმნიშვნელოვანი მიჯნა: საბჭოთა კავშირ-ამერიკის ცნობილი მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებულია სტრატეგიული იარაღის ურთიერთშეზღუდვა, შემუშავებულია სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების პრინციპები, ისეთ ისტორიულ აქტთან შეხამებით, როგორიც არის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ. ეს შეთანხმებანი ხელს უწყობენ საერთაშორისო კლიმატის სერიოზულ გაჯანსაღებას.

მაგრამ დაგვჭირდება დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც, ბუნებრივია, ვერ შემოიფარგლება ორი, თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე მძლავრი ატომური სახელმწიფოთი. კერძოდ, ჩვენ მივესალმებოდით სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც მზად იქნებიან შეუერთდნენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერთად დადასტურებულ პრინციპებს ძალის გამოუყენებლობაზე უარის თქმისა და ატომური ომის წარმოშობის დაუშვებლობისათვის გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ა. ა. გრომიკომ დამსწრეთ მოაგონა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებანი შეუძლებელი იქნებოდა, ისინი რომ ერთ-ერთ მხარეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდნენ, რომ ზედმიწევნით არ იყოს დაცული თანაბარი უშიშროების პრინციპი.

მაგრამ თუ ორმა ქვეყანამ შეძლო ასეთ საფუძველზე დაეწყო შეიარაღების შეზღუდვა, რატომ არ შეიძლია, ვთქვათ, ხუთ სახელმწიფოს ანალოგიურად მოიქცნენ, რა თქმა უნდა, იმავე პირობით, რომ ზიანს არ მიაყენებენ არც ერთი სახელმწიფოს უშიშროებას? ხოლო რადგან ასეა, რა უშლის ხელს ამგვარი მეთოდი გამოიყენოს უფრო მეტმა ქვეყანამ? რაც უფრო მეტი სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობას განიარაღების პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრაში, მით უფრო საგრძნობი გახდება სარგებლობა ყველა ხალხის უშიშროებისათვის.

გარდა ამისა, დაძაბულობის შენელების გზაზე მოპოვებული წარმატებანი, ჩვენი აზრით, საშუალებას გვაძლევენ უკვე დღეს გამოვძებნოთ არსებითი დამატებითი სახსრები განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად.

ხელმძღვანელობს რა ყოველივე ამით, საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVIII სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი, რომ 10 პროცენტით შემცირდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები და დაზოგილი სახსრების ნაწილი გამოყენებულ იქნას განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად.

თუ ყველა დაეთანხმება ამ ჩვენს წინადადებას, თუ გენერალური ასამბლეა მიიღებს შესაბამის რეზოლუციას, კარგი სასარგებლო საქმე გაკეთდება.

ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოებს ყველაზე მეტი სამხედრო ხარჯები აქვთ. ეს გათვალისწინებულია საბჭოთა წინადადებაში.

ამ შემცირების ამოსავალ წერტილად მიზანშეწონილია ავიღოთ მიმდინარე 1973 წლის სამხედრო ბიუჯეტების დონე. შემცირების შედეგად განთავისუფლებული სახსრების წილმა, რომელიც მოხმარდებოდა განვითარებად ქვეყნებისადმი დახმარებას, შეიძლება შეადგინოს, მაგალითად, 10 პროცენტი.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიება მოითხოვს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ ყველა სახელმწიფოთა მონაწილეობას. სასურველია აგრეთვე, რომ სამხედრო ბიუჯეტები შეამცირონ სხვა სახელმწიფოებმაც, რომლებსაც აქვთ დიდი ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი.

ჩვენი წინადადება, განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის მიზნით გამოყოფილი სახსრები მიეცეს უწინარეს ყოვლისა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებს, რომლებიც მიმდინარე წელს სერიოზული სტიქიური უბედურების, გვალვისა თუ წყალდიდობის გამო დიდ სიძნელეებს წააწყდნენ.

ცხადია, რომ სამხედრო ხარჯების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოიგებდნენ აგრეთვე ის სახელმწიფოები, რომლებიც შეამცირებენ სამხედრო ბიუჯეტებს. მათ მიეცემათ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი რესურსები მოახმარონ თავიანთი ხალხების მშვიდობიან საჭიროებებს, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას.

ა. ა. გრომიკომ დამსწრეთ მოაგონა, რომ გენერალური ასამბლეის წარსულმა სესიამ ხმების ფართო უმრავლესობით მხარი დაუჭირა ორი დიდი საკითხის გადაწყვეტას. ეს საკითხებია: ძალის გამოუყენებლობა საერთაშორისო ურთიერთობაში, ამავე დროს ატომური იარაღის გამოყენების სამუდამო აკრძალვა და განიარაღების მსოფლიო კონფერენცია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების უსწრაფესი განხორციელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი პრინციპი საერთაშორისო ცხოვრების კანონად გადაქცევის ეფექტიანი საშუალება გახდებოდა. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი მზად არის შეუთანხმდეს და სათანადოდ გააფორმოს ყველა ატომურ სახელმწიფოსთან ურთიერთვალდებულებანი ძალის გამოუყენებლობის, კერძოდ, ატომური იარაღის გამოყენების ერთდროული აკრძალვის შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო საბჭოთა კავშირისა და ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობას. მან აღნიშნა, რომ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის ინტერესები, მიესალმება ახალ რელსებზე ამ ურთიერთობის გადაყვანას.

უკვე მთელი რიგი წლებია თანმიმდევრულად და სერიოზულად აწარმოებენ საქმეებს ერთმანეთთან საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი. საბჭოთა კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ განახორციელეს რადიკალური შემობრუნება თავიანთ ურთიერთობაში. რეალიზმის სულისკვეთებამ გაიმარჯვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიდგომაში იმ საკითხებისადმი, რომელთა გამო დიდხანს უთანხმოება ჰქონდა მას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. აღმოიფხვრა ბევრი დაბრკოლება, რათა ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ევროპის დანარჩენ სოციალისტურ ქვეყნებს შორის, თუმცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ყველას როდი მოსწონს პოლიტიკის ასეთი კურსი.

შეეხო რა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგად კარგი საფუძველი შეიქმნა ორი ქვეყნის ურთიერთობის ისეთ განვითარებას, რომელიც სავსებით შეესაბამება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, ავლენს ამ პრინციპის უდიდეს შესაძლებლობებს, დადო მთელი რიგი შეთანხმებანი სხვადასხვა დარგში და გაიშალა დიდი მუშაობა მათთვის კონკრეტული შინაარსის მისანიჭებლად.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა უმჯობესდება ისეთ პირობებში, როცა ორივე სახელმწიფო ითვალისწინებს საზოგადოებრივი წყობილებისა და იდეოლოგიის დაპირისპირებულობას, ესმის ის, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოება მიმართული არ არის რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ზიანს არ აყენებს ვისიმე ინტერესებს.

ვითარდება საბჭოთა კავშირის ურთიერთობა იაპონიასთან. საბჭოთა კავშირი აპირებს კვლავაც იმუშაოს იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა ნამდვილი კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ურთიერთობად იქცეს.

საბჭოთა კავშირი მზად არის გააღრმავოს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ევროპისა და სხვა კონტინენტების ყველა ქვეყანასთან, რომლებიც თავის მხრივ ესწრაფვიან ამას.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის გახსნის დღეს დაიწყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მეორე სტადია, და თქვა:

საბჭოთა კავშირი დიდი ოპტიმიზმით აფასებს თათბირის მუშაობის პერსპექტივას. მისმა მონაწილეებმა ასე თუ ისე გამონახეს საერთო ენა, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის არ არის უთანხმოება იმის თაობაზე, რომ თათბირის წინაშე დასახულია დიდი მნიშვნელობის ამოცანები, რომლებიც საქმიან და კონსტრუქციულ განხილვას მოითხოვენ.

არის იმის შესაძლებლობა, რომ თათბირის მუშაობას კარგი და თავისი პოტენციური შედეგებით ისტორიული წარმატებაც კი მოჰყვეს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ყველა მონაწილე პასუხისმგებლობითა და სერიოზულად მიუდგეს მათ წინაშე მდგომ პრობლემებს.

საბჭოთა კავშირს, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, სასურველად მიაჩნია ევროპის დაძაბულობის პოლიტიკურ შენელებას დაემატოს სამხედრო შენელება. ამას შეიძლება ხელი შეუწყოს კიდევ ერთმა დიდმა თანხმობამ მთელი რიგი სახელმწიფოების მონაწილეობით — მოლაპარაკებამ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ, რომელიც 30 ოქტომბერს იხსნება.

შეეხო რა მდგომარეობას აზიაში ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ამ რაიონშიც საბჭოთა კავშირის ხაზია მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის ხაზი. საბჭოთა კავშირი გახდა აზიაში კოლექტიური უშიშროების შექმნის ინიციატორი. ეს იდეა თანდათან იკრებს ძალას, ქარწყლდება სკეპტიციზმი, ქრება უნიადაგო ეჭვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ალმა-ათაში ახლახან წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ კოლექტიურ უშიშროებას აზიაში, რადგან „ვესწრაფვით აზიის კონტინენტზე გამოვრიცხოთ ომები და შეიარაღებული კონფლიქტები, იმპერიალისტური აგრესია; ვცდილობთ, რომ თვითეული ქვეყნისა და ხალხისათვის გარანტირებული იყოს თავისუფალი განვითარებისა და ეროვნული აღორძინების პირობები, რომ აზიის ქვეყნების ურთიერთობაში გამეფდეს ნდობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება".

საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, თანმიმდევრულად მხარს უჭერს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებად სახელმწიფოებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არაერთხელ ყოფილა ყველა ჯურის კოლონიალიზმთან მწვავე პოლიტიკური შეტაკებათა ასპარეზი, და საბჭოთა კავშირი მუდამ გადაჭრით იცავდა ჩაგრულ ხალხებს, ყოველნაირად უჭერდა მხარს მათ ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის.

მან დამსწრეთ მოაგონა, რომ ეს ძნელი, სასტიკი ბრძოლაა და რომ ამასწინანდელი მოვლენები ჩილეში მოწმობენ, რომ ამ ბრძოლაში ხდება ხოლმე ტრაგიკული შემობრუნებანი.

ამასთან დაკავშირებით ა. ა. გრომიკომ გამოთქვა რწმენა, რომ იმათ, ვინც ცდილობს ხელი შეუშალოს ხალხებს ისუნთქონ ნამდვილი დამოუკიდებლობის ჰაერი, უფრო მეტიც, ხსოვნაში ჩააქროს მათი ეროვნული თავისუფლების უფლება, ისტორია ჯერ კიდევ პასუხს მოსთხოვს.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა გულგრილად ვერ მოეკიდებოდა შექმნილ შეუწყნარებელ ვითარებას და მიიღო გადაწყვეტილება დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს ჩილესთან, უფრო სწორად — სამხედრო ხუნტის რეჟიმთან.

სახელმწიფოები, რომლებიც დაადგნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გზას, საბჭოთა კავშირის სახით მუდამ პოულობდნენ და პოულობენ მეგობარს, რომელიც მზად არის დახმარება გაუწიოს ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, გაუზიაროს ცოდნა და გამოცდილება, დაეხმაროს ძნელ ჟამს. განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობის გაფართოება საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკური კურსის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

მშვიდობისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები განვითარებად სახელმწიფოებთან ერთად არიან, და ჩვენ დიდად ვაფასებთ ამას. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთთან მოგვარებული კავშირურთიერთობა გვაქვს; ზოგთან — ურთიერთობა ნამდვილად ეს-ეს არის მყარდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის ბრძოლის პლატფორმა, ჩვენი აზრით, სულ უფრო დიდ შესაძლებლობებს გვიქმნის თანამშრომლობისათვის. ჩვენ ამ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების მომხრე ვართ.

დასასრულ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებაში. ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოელიან ღონისძიებებს, თქვა მან, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას. მსოფლიოში ხელშემწყობი ცვლილებების პირობებში ფართოვდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლებლობანი თავისი დიდი წვლილი შეიტანოს დაძაბულობის შენელების დამკვიდრებაში, მისთვის სტაბილური და შეუქცევადი ხასიათის მინიჭებაში.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი ძალ-ღონეს არ დაიშურებს ქვეყნად მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის. ეს არის მისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის აზრი. თვითეული სახელმწიფო, თვითეული პოლიტიკური მოღვაწე შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა კავშირის სახით მას კვლავაც ეყოლება საიმედო პარტნიორი ყველგან და ყველაფერში, სადაც ხორციელდება საქმიანობა ომის საფრთხის წინააღმდეგ და მშვიდობის სასარგებლოდ.

დიადი კანონზომიერება

თეორიის საკითხები

სკპ XXIV ყრილობის მასალებსა და დოკუმენტებში ღრმად გაშუქებულია კომუნისტური მშენებლობის სოციალურ-პოლიტიკური და თეორიული პრობლემები, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებანი.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლას მარქსიზმ-ლენინიზმი განიხილავს, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელსაც აქვს თავისი მთავარი კანონზომიერებანი, განვითარების ეტაპები და პერიოდები.

ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კანონზომიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება **მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლი, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან და მშრომელთა სხვა ფენებთან; წარმოების ძირითად საშუალებათა კაპიტალისტური საკუთრების მოსპობა და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება. სოფლის მეურნეობის თანდათანობითი სოციალისტური გარდაქმნა, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება. სოციალისტური რევოლუციის განხორციელება იდეოლოგიისა და კულტურის დარგში. ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, და ხალხთა თანასწორობისა და ძმური ურთიერთობის დამყარება, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა გარეშე და შინაური მტრების ხელყოფისაგან, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევა.**

ვ. ი. ლენინმა დაამუშავა და მეცნიერულად დაასაბუთა ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საერთო კანონზომიერებანი, რომლებიც ურთიერთზემოქმედებენ და ურთიერთგანაპირობებენ. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებას საყოველთაო ხასიათი აქვს. გამოხატავს სოციალური პროგრესის ობიექტურ მოთხოვნებს და ხაზს უსვამს იმ სოციალური პირობების საერთო ხასიათს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ახალი საზოგადოების წარმატებით მშენებლობა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობამ მსოფლიოს ხალხებს პირველად დაანახვა სოციალიზმის განვითარების გზები და საშუალებები. ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, რომ ჩვენი რევოლუციის ზოგიერთ ძირითად ნიშანს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსული მაგალითი ყველა ქვეყანას აჩვენებს საერთაშორისო მასშტაბით იმის გამეორების გარდუვალობას. რაც რუსეთში მოხდა რევოლუციის სახით. სოციალიზმისაკენ სვლის მაგისტრალური გზა ახლა საყოველთაოდ ცნობილია და მისი გამოყენება შეუძლიათ ყველა ქვეყნის ხალხებს სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

„სოციალიზმის გზას, მის მთავარ ნიშნებს — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — განსაზღვრავენ ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც დამახასიათებელია ყველა სოციალისტური ქვეყნის განვითარებისათვის".

სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა, როგორც მას ხაზი გაუსვა პარტიის XXIV ყრილობაზე, დამოკიდებულია საზოგადოების განვითარებაში საერთო და ეროვნული თავისებურებების სწორ შეთანაწყობაზე. არ შეიძლება მათი ურთიერთდაპირისპირება და არც გაზვიადება, როგორც ამას რევიზიონისტები და ნაციონალისტები სჩადიან.

მართალია, ქვეყნებისა და ხალხების თავისებურება რამდენადმე განსაზღვრავს სოციალიზმის მშენებლობის თავისებურებას, მაგრამ არა ცვლის ყველა ქვეყნისათვის სავალდებულო გენერალურ პრინციპებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალი საზოგადოების აშენებისათვის.

„ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, — წერდა ლენინი, — ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა სავსებით ერთნაირად; თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში... საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში".

მთავარსა და ძირითადში ერთიანობასთან ერთად სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ სოციალიზმის მშენებლობის თავისი განსაკუთრებული ფორმები და მეთოდები, რომლებიც გამომდინარეობენ განვითარების ისტორიული, ეროვნული, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული პირობებიდან, ხალხის ტრადიციებიდან, აგრეთვე ამა თუ იმ პერიოდში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან. განსაკუთრებულობა და სპეციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება (საბჭოები, სახალხო დემოკრატია და სხვ.). მას შეიძლება ჰქონდეს ერთპარტიული, ორპარტიული ან მრავალპარტიული სისტემა. მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელ როლს მარქსისტულ-ლენინური პარტია ახორციელებს.

რევიზიონისტები ცდილობენ ჩამოაცილონ სოციალიზმს ინტერნაციონალური ხასიათი და მხოლოდ ნაციონალური სადებავებით შეამკონ იგი. ისინი უარყოფენ სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების ისტორიულ მნიშვნელობას და ამით უარყოფენ სოციალიზმში გადასვლის საერთო კანონზომიერებას.

სოციალიზმს აქვს ყველა ქვეყანაში ერთნაირი კლასობრივი სტრუქტურა, ერთნაირი საზოგადოებრივი საწარმოო და ეროვნული ურთიერთობა, ერთნაირი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. უამისოდ სოციალიზმი არ არსებობს. მეცნიერული კომუნიზმი მოითხოვს სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებათა შემოქმედებითად გამოყენებას.

მუშათა კლასის მიერ საზოგადოების საზოგადოებრივი ხელმძღვანელობა სოციალიზმის შექმნისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა. იგი რევოლუციის მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტის, ექსპლოატატორთა კლასის დათრგუნვის, სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის, საერთაშორისო მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებისა და მის მიერ ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულების მთავარი ფაქტორია.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში მუშათა კლასის წამყვანი როლი განისაზღვრება მისი მდგომარეობით საზოგადოებაში, მისი რევოლუციური გამოცდილებით, მისი უნარით, ორგანიზებულობითა და იმის მოხერხებით, რომ თან გაიყოლიოს საზოგადოების ყველა ფენა. იგი კაპიტალიზმის შეურიგებელი მტერია და თავის განთავისუფლებასთან ერთად ათავისუფლებს მთელ საზოგადოებას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

მუშათა კლასი უშუალოდ დაკავშირებულია მრეწველობასთან — სახალხო მეურნეობის წამყვან დარგთან, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

მუშათა კლასი, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სკპ XXIV ყრილობაზე, — იყო და არის საზოგადოების ძირითადი მწარმოებლური ძალა. მისი რევოლუციურობა, დისციპლინიანობა, ორგანიზებულობა და კოლექტივიზმი განსაზღვრავენ მის წამყვან მდგომარეობას სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში".

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში წარმოადგენს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებას. კომუნისტური პარტია და სოციალისტური სახელმწიფო ყოველმხრივ ავითარებენ სოციალისტურ დემოკრატიას. სოციალისტური საზოგადოების განვითარების კვალობაზე სოციალისტური დემოკრატია ფართო ხასიათს იღებს, ახალ-ახალ შესაძლებლობებს ქმნის სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობისათვის. სოციალიზმი უზრუნველყოფს მშრომელთა ფართო მონაწილეობას საზოგადოების მართვაში სხვადასხვა ფორმით.

სკკპ XXIV ყრილობა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ

სკპ XXIV ყრილობამ ახალი ძალით გაუსვა ხაზი პარტიის როლის ყოველმხრივ ამაღლებას, რომელიც მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მოსახლეობის პოლიტიკური ხელმძღვანელია. ეკონომიკის დარგში უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებად ითვლება: საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნა; წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების შექმნა; სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გატარება; სოფლის მეურნეობის კოოპერირება; კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; შრომის ნაყოფიერების ამაღლება და საბჭოთა საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება; სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი წარმართვა, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მისი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობის ფორმირება ხორციელდება მსხვილი მექანიზებული მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის საფუძველზე.

მძიმე მრეწველობის განვითარება სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ობიექტური კანონზომიერებაა. მძიმე მრეწველობა გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველია, სახალხო მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების, ქვეყნის ეკონომიური ძლიერების, ხალხის კეთილდღეობის ზრდის აუცილებელი პირობაა. იგი უზრუნველყოფს სოციალისტური სახელმწიფოს დაცვას.

პარტიამ და ხალხმა პრაქტიკულად განახორციელეს ლენინური იდეა — სოფლად საზოგადოებრივი ურთიერთობის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ. მას საფუძვლად ედო საზოგადოებრივი საკუთრება მისი ორი ფორმით — საერთო სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ფორმებით. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ სამუდამოდ გაათავისუფლა გლეხობა კულაკობის მხრივ ექსპლოატაციისა და სიღატაკისაგან, შექმნა პირობები მისი კეთილდღეობის ასამაღლებლად.

კომუნიზმის მშენებლობის მნიშვნელოვანი კანონზომიერებაა სახალხო მეურნეობის გეგმიანი წარმართვა, მისი მართვის სრულყოფა, შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაუმჯობესება. გეგმიანი საწყისები დაფუძნებულია მეცნიერულ საფუძვლებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს სოციალისტურ სახელმწიფოს დაიცვას სწორი პროპორციები სახალხო მეურნეობის დარგებს შორის, უზრუნველყოს ეკონომიკის სწრაფად განვითარება, თავიდან აიცილოს დისპროპორციები და კრიზისული მოვლენები.

სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შრომის სოციალისტური განაწილება, იგი განამტკიცებს სოციალიზმის მთელი სამეურნეო სისტემის ერთიანობას, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებას, შრომის სოციალისტური განაწილების პრინციპის დაცვის დიდი გამოცდილებაა შექმნილი საბჭოთა კავშირში. დღეს მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში ახალ გაქანებას იღებს ეკონომიური ინტეგრაცია. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ძალების გაერთიანება ხორციელდება ერთიანი ეკონომიური სისტემის, ერთიანი კლასობრივი ინტერესების, შრომის საერთაშორისო განაწილების მტკიცე და მყარ ბაზაზე.

თანამედროვეობის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს იმ ქვეყნების სოციალიზმში გადასვლის საკითხი, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს კაპიტალიზმამდელი მეურნეობის ფორმები. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს იმის სრულ შესაძლებლობას, რომ კაპიტალიზმის სტადიის გაუვლელად შესაძლებელია სოციალიზმზე გადასვლა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ბოლომდე ერთგულია თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა, დახმარებას უწევს განთავისუფლებულ ქვეყნებს მათი ეკონომიკის განვითარებაში. უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა იმ განთავისუფლებულ ქვეყნებთან ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობა, რომლებიც განვითარების არაკაპიტალისტურ გზას დაადგნენ.

საბჭოთა ხალხს, რომელმაც ისტორიაში პირველად განახორციელა სოციალისტური რევოლუცია, წილად ხვდა ეროვნული ურთიერთობის დარგში ახალი გზა გაეკვალა. სოციალიზმი ეროვნული ურთიერთობის სფეროში — ეს უწინარეს ყოვლისა არის ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, როცა მიღწეულია ერების პოლიტიკური თანასწორობა, ხდება ერების ურთიერთ დაახლოება. ცხადია, ყოველივე ეს სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარია.

ახალი, მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას და უფრო სწრაფი ტემპით სამრეწველო პროდუქციის წარმოებას იმ რესპუბლიკებში, რომლებიც საჭიროებენ დაჩქარებული ტემპით ინდუსტრიულ განვითარებას. ეს კი ხელს შეუწყობს ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიური საფუძვლების შემდგომ გაფართოებას, მათი სოციალური სტრუქტურის შეცვლას. ეროვნული ურთიერთობის განვითარება გამოვლინდება კულტურის ურთიერთ გავლენითა და ურთიერთგამდიდრებით და მტკიცდება ინტერნაციონალურ საფუძველზე. მეგობრობისა და ძმური ურთიერთობის პირობებში ხდება ეროვნულ კულტურათა ურთიერთ დაახლოება, თვითეული მათგანის აყვავება და გაფურჩქვნა.

სოციალიზმი ყოველმხრივ ავითარებს და ამდიდრებს ეროვნული კულტურის საუკეთესო ტრადიციებს, უკუაგდებს ყოველივე ძველს, რაც კი ამუხრუჭებს მის განვითარებას. ეროვნული საკითხის ლენინურმა გადაჭრამ შექმნა სოციალისტურ ერთა და ეროვნებათა შორის ურღვევი ერთიანობა, რასაც საფუძვლად უდევს კლასობრივი ინტერესების, ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების ერთიანობა.

სოციალიზმის მშენებლობის მნიშვნელოვან კანონზომიერებად ვ. ი. ლენინი თვლიდა კულტურული რევოლუციის განხორციელებას, რომელიც ძირეულად ცვლის სწავლისა და აღზრდის სისტემას, გარდაქმნის საზოგადოების სულიერ ცხოვრებას.

კულტურული რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში გიგანტური გაქანება მიიღო სახალხო განათლებამ. საბჭოთა საზოგადოება გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე განათლებულ საზოგადოებად. სსრ კავშირში ყველა სახის სწავლებაში 80 მილიონი კაცია ჩაბმული. 95 მილიონ კაცზე მეტს აქვს უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლება. სკპ XXIV ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა სახალხო განათლებისა და სოციალისტური კულტურის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ყოველი ღონისძიების განვითარების უზრუნველსაყოფად.

სოციალიზმი განვითარებადი საზოგადოებაა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების დღიდან იგი გადის თავისი განვითარების მთელ რიგ ეტაპებს.

გამარჯვებული სოციალიზმის ეკონომიკას და განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკას საფუძვლად უდევს ერთი და იმავე ტიპის წარმოებითი ურთიერთობა. ერთი და იგივე ეკონომიური კანონები—სოცილიზმის კანონები. განვითარებული სოციალიზმის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს კომუნიზმის მშენებლობის მაღალ ტემპებს.

ასეთია ის დიადი კანონზომიერება, რომელსაც ჩვენი ხალხი მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებამდე.

დოცენტი უშ. ხოფერია.

ხალხთა ბედნიერებისათვის უშიშარი მებრძოლი



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ელიავას დაბადების 90 წლისთავის გამო

ქართველ ლენინელთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს, რუსეთის სამივე რევოლუციის აქტიურ მონაწილეს შალვა ზურაბის-ძე ელიავას.

რევოლუციონერი მოწოდებით, ტემპერამენტით, მთელი თავისი მხქერვალე ბუნებით შ. ელიავა ბავშვობიდანვე ვერ ურიგდებოდა ფუქსავატ თავადაზნაურთა და მეფის მოხელეთა თავგასულობას, მოურიდებლად აკრიტიკებდა არსებულ წესწყობილებას, სოციალიზმის იდეებს იგი ჭაბუკობის წლებში ეზიარა. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (1898-1903 წწ.) ღრმად დაინტერესდა სოციალურ-ეკონომიური საკითხებით, მონაწილეობდა მოსწავლეთა მარქსისტული წრის მუშაობაში, არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის გამოშვებაში, ბეჯითად სწავლობდა მარქსიზმს და მოსწავლეთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო პროპაგანდისტად ითვლებოდა. გულმართალი ჭაბუკი არ მალავდა თავის რევოლუციურ განწყობილებას, აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას თვითმპყრობელური რეჟიმის გამო, რისთვისაც ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში რამდენჯერმე ჩასვეს კარცერში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შ. ელიავამ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1904 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია შ. ელიავას ცხოვრებაში. ამ წლის ზაფხულის არდადეგებზე იგი საქართველოში ბრუნდება, აქტიურად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, 21 წლის ახალგაზრდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის და მთელ თავის ცხოვრებას სამუდამოდ უკავშირებს მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში შ. ელიავა პარტიულ მუშაობას ეწეოდა პეტერბურგში, თბილისში, ქუთაისში, ხონში, ყვირილაში და სხვაგან. ხშირად გამოდიოდა სიტყვებით საჯარო კრებებსა და მიტინგებზე, მონაწილეობდა დისკუსიებში მენშევიკების, ფედერალისტებისა და სხვა ანტიპროლეტარული პარტიების წინააღმდეგ. როგორც გამოწრთობილმა პროპაგანდისტმა და ორგანიზატორმა თავისი ღრმა ცოდნითა და მჭევრმეტყველებით დიდი პატივისცემა, სიყვარული და პოპულარობა მოიხვეჭა მოსახლეობაში, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოფელში დღესაც შეხვდებით გლეხებს, რომლებსაც შ. ელიავა, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, პოპულარული ფორმით განუმარტავდა საზოგადოების რევოლუციური განახლებისათვის ბრძოლის ამოცანებს. ასეთ საუბრებში შ. ელიავას არაერთი და ორი საათი, ზოგჯერ მთელი ღამეებიც გაუტარებია. გლეხობა დიდი გატაცებით უსმენდა ორატორს, სჯეროდა მისი.

1905-1907 წლებში, ისევე როგორც რევოლუციური მოძრაობის სხვა ეტაპებზე, საქართველოს მშრომელებმა თავი ისახელეს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლით. ი. სტალინთან, მ. ცხაკაიასთან, ა. წულუკიძესთან, ფ. მახარაძესთან, ა. ჯაფარიძესთან, ს. ქავთარაძესთან და სხვებთან ერთად ამ ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი შ. ელიავაც იყო.

ქართველი ბოლშევიკებიდან შ. ელიავა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, კერძოდ, 1907 წელს, პირადად გასცნობოდა ვ. ი. ლენინს. შ. ელიავა ამის შემდეგაც მრავალჯერ შეხვდა ბოლშევიკური პარტიის ბელადს, ჰქონდა მასთან მიმოწერა.

შ. ელიავას რევოლუციური მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამოჰპარვია მეფის მთავრობას, პოლიციის აგენტები გასაქანს არ აძლევდნენ, მის თვითეულ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ, რამდენჯერმე ბინა გაუჩხრიკეს, დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ იძულებული გახდა კავკასიას გასცლოდა. პეტერბურგს გაემგზავრა, მაგრამ რევოლუციური მოღვაწეობისათვის იქიდანაც გამოასახლეს. საქართველოში დაბრუნებისას კვლავ ჩაება არალეგალურ პარტიულ მუშაობაში, მაგრამ აქ დიდხანს ამჯერადაც ვერ დარჩა. პოლიციისაგან დევნილი იძულებულია ხშირად გამოიცვალოს ადგილსამყოფელი.

ჟანდარმერიის დოკუმენტებში, რომლებშიც მოცემულია აგენტურული ცნობები რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წევრთა რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, შ. ელიავა დახასიათებულია როგორც „გამოჩენილი სოციალ-დემოკრატიული მოღვაწე", „ბოლშევიკ-ლენინელი".

მეფის მთავრობამ შ. ელიავა 8-ჯერ დააპატიმრა (თბილისში, ქუთაისში, პეტერბურგში), ორჯერ გადაასახლა (ოლონეცკის, ასტრახანის, ვოლოგდის გუბერნიებში). უკანასკნელად ვოლოგდის გუბერნიაში იყო გადასახლებული. აქვე მოუსწრო 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ.

რევოლუციის პირველსავე დღეებში შ. ელიავა ვოლოგდის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1917 წლის ოქტომბერში იგი პეტერბურგს მიემგზავრება და როგორც ვოლოგდის გუბერნიის დელეგატი მონაწილეობს სრულიად რუსეთის საბჭოების ისტორიული II ყრილობის მუშაობაში. ვოლოგდაში დაბრუნების შემდეგ შ. ელიავამ როგორც საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარემ და სასურსათო საქმეთა საგუბერნიო კომისარმა დიდი მუშაობა გასწია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

შალვა ელიავა თურქესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორია. 1919 წლის თებერვალში იგი დაინიშნა სრულიად რუსეთის ცაკ-ის, რსფსრ სახკომსაბჭოსა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური ორგანოს — თურქესტანის საქმეთა განსაკუთრებული (დროებითი) კომისიის თავმჯდომარედ. მალე შ. ელიავა სამხედრო სამუშაოზე გადაიყვანეს. აქედან იწყება მისი მეტად ნაყოფიერი მუშაობა წითელ არმიაში.

აღმოსავლეთისა და თურქესტანის ფრონტებზე სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის დროს შ. ელიავამ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ დაუნდობელმა მებრძოლმა და გამოცდილმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა.

ვ. ი. ლენინისა და შ. ზ. ელიავას იმდროინდელი მიმოწერა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ბოლშევიკური პარტიის ბელადი დიდი ნდობით ეკიდებოდა შ. ელიავას. 1919 წლის სექტემბერში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რსფსრ სახკომსაბჭომ და სრულიად რუსეთის ცაკ-მა, ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით, კვლავ იმსჯელეს თურქესტანის კომისიის უფლება-მოვალეობაზე, მის შემადგენლობაზე. ვ. ი. ლენინის წინადადებით თურქესტანის კომისიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს შ. ელიავა, წევრებად — მ. ვ. ფრუნზე, ვ. ვ. კუიბიშევი, ი. ე. რუძუტაკი და სხვ., სექტემბერშივე ვ. ი. ლენინი ესაუბრა შ. ელიავას და მრავალი რჩევა-დარიგება მისცა მას. შ. ელიავას სახელზე გაცემულ მოწმობაში აღნიშნული იყო, რომ იგი დანიშნულია თავმჯდომარედ თურქესტანის საქმეთა კომისიისა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი პარტიული კონტროლი და ხელმძღვანელობა თურქესტანში, წარმოადგინოს სრულიად რუსეთის ცაკი და სახკომსაბჭო, იმოქმედოს მათი სახელით თურქესტანის ფარგლებში და მის მომიჯნავე ქვეყნებში.

დიდია შ. ელიავას დამსახურება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეში. იგი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი აჯანყებულთა რაზმებისა და წითელი არმიის ნაწილებისა, რომლებმაც დაამხეს მენშევიკური მთავრობა და 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აღმართეს.

1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინმა მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს კომუნისტებს და ურჩია მათ შემოქმედებითად გამოეყენებინათ სოციალისტური მშენებლობის საბჭოთა რუსეთის გამოცდილება, მექანიკურად არ გადაეტანათ რუსული შაბლონი, გაეთვალისწინებინათ საქართველოს სპეციფიკური პირობები.

ვ. ი. ლენინის ეს წერილი იმავე დღეს, 1921 წლის 2 მარტს, პირდაპირი მავთულით გადაეცა საქართველოს რევკომს, პირადად შ. ელიავას. რევკომის სახელით, მისმა წევრებმა შ. ელიავამ და მ. ორახელაშვილმა განაცხადეს: „სავსებით ვეთანხმებით ამხ. ლენინს... სრულიად უარვყოფთ შაბლონებს და პირველი დღიდანვე თბილისში შემოსვლისა დავადექით თავისებურ ტაქტიკას..."

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შ. ელიავა უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეს. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში კიდევ უფრო გაიფურჩქნა შ. ელიავას, როგორც გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, მრავალმხრივი ნიჭი.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ეროვნული მშვიდობიანობის დამყარებისათვის აუცილებელი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური დაახლოება, მათი მჭიდრო თანამშრომლობა. შ. ელიავა, ს. ორჯონიკიძესთან, მ. ცხაკაიასთან, ს. კიროვთან, მ. ორახელაშვილთან, ა. მიასნიკოვთან და სხვებთან ერთად, აქტიურად იბრძოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისათვის. თავის გამოსვლებში თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში შ. ელიავა გადაჭრით გმობდა როგორც დიდმპყრობელური, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

შ. ელიავა დაუღალავად იბრძოდა მასებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების დანერგვისათვის, სასტიკად ილაშქრებდა ეროვნული კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც პატივს არა სცემდა მეზობელი ერების კულტურას, არ ცდილობდა დაუფლებოდა მოძმე ხალხთა ენებს, პირველ რიგში რუსულ ენას. მისთვის, ისე როგორც ყოველი ქართველი ლენინელისათვის, მშობელი ერის სიყვარული და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ყველაზე წმიდა საფიცარი იყო.

შ. ელიავას დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში. იგი მტკიცედ იცავდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ პოლიტიკას, ენერგიულად იბრძოდა მისი განხორციელებისათვის.

შინაპარტიული ბრძოლის ურთულეს პერიოდში, როცა ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია და მემარჯვენე ოპორტუნისტები პარტიის ლენინური გენერალური ხაზის წინააღმდეგ გამოვიდნენ, შ. ელიავა მიხა ცხაკაიასთან, ფილიპე მახარაძესთან, მამია ორახელაშვილთან, მიხეილ კახიანთან, სამსონ მამულიასთან, ვანო და გიორგი სტურუებთან და სხვებთან ერთად, პარტიის რიგების ერთიანობის დაცვისათვის ბრძოლის ავანგარდში იდგა.

შ. ელიავას პასუხსაგები პოსტები ეკავა. იგი იყო: საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე და სხვ.

შალვა ელიავა პარტიის XVI და XVII ყრილობებზე აირჩიეს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

საქმე, რომლისთვისაც დაუღალავად იბრძოდა შ. ელიავა, წარმატებით დაგვირგვინდა. პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის ლენინის გზით და არ ივიწყებს თავის ერთგულ შვილებს. რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა: „...მხოლოდ ნამდვილად გულად და პრინციპულ ადამიანებს, მხოლოდ იმათ, ვისაც არ აშინებდა არც თავგანწირული, მძიმე შრომა, არც პოლიციური დევნა, იმათ, ვინც ყველაფერზე მაღლა აყენებდა მშრომელი ხალხის ბედნიერებას, — მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ გმირობა, როგორიც ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა პირველმა ლენინურმა თაობამ". სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები მთლიანად ეხება შ. ელიავასაც, რომლის სახელს არასოდეს დაივიწყებს მადლიერი საბჭოთა ხალხი.

ლ. თოიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საგზაო სამუშაო — სახელმწიფოებრივი საქმე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ესაკიას მოხსენება რესპუბლიკაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და შეკეთების მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. მთლიანად რესპუბლიკაში გადაჭარბებით სრულდება საგზაო სამუშაოების გეგმები.

მიმდინარე წლის გეგმებს კარგად ასრულებენ: დუშეთის, დმანისის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, გარდაბნის, მარნეულისა და სხვა რაიონები.

ამასთანავე მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რემონტის გეგმების შესრულების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები. მიმდინარე წლის საგზაო სამუშაოების 7 თვის გეგმები ვერ შეასრულეს: თიანეთის (32 პროცენტი), ყაზბეგის (57), აბაშის (59), ორჯონიკიძის (63), ლაგოდეხის (65), ახალციხის (73), კასპის (74), ზესტაფონის (80), მესტიის (88) და სხვა რაიონებმა.

აბაშის, ზესტაფონის, ხაშურის, ახმეტის, თელავის, ბორჯომის, ჩხოროწყუს, ხაშურის, ქარელის, კასპის, თიანეთის, მაიაკოვსკის რაიონების და ჭიათურის კოლმეურნეობებში შექმნილი არ არის მუდმივი საგზაო ბრიგადები, ხოლო ზოგ რაიონში თუმცა შექმნილია, მაგრამ დანიშნულებისამებრ არ იყენებენ.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რემონტში არასრულყოფილად არის გამოყენებული რაიონის ორგანიზაციების საგზაო მექანიზმები და ავტოტრანსპორტი.

ადგილობრივი გზების შეკეთების საქმეში სათანადო ინიციატივას არ იჩენენ საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები.

რაიონის საგზაო-საწარმოო უბნები ნაკლებად მარაგდებიან გზის შეკეთებისათვის საჭირო მანქანებითა და სამშენებლო მასალებით. საავტომობილო გზების სამინისტრო და შესაბამისი საბჭოების აღმასკომები სათანადო კონტროლს არ უწევენ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ნაკლოვანებანია შესაკეთებელი გზების დაგეგმვის, სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის საქმეში და სხვ.

კომისიის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ: მუდმივი კომისიის წევრი დეპუტატი შ. ხარაზიშვილი, აბაშისა და თიანეთის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ა. ნადარეიშვილი და დ. ლომჯარია, კასპის და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები ვ. მერაბიშვილი და შ. კაპანაძე, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე ო. შუკაკიძე.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

კომისიამ საკითხი განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. პრეზიდიუმმა აღნიშნულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

„კომუნისტის" ინტერვიუ

პნევმოტრანსპორტი — მომავლის ტრანსპორტი

ტექნიკის სიახლენი — წარმოებაში!

პრესის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ იაპონიის ფირმა „სუმიტომო სეძიმ" მოსკოვში, საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად შეისყიდა კონტეინერული პნევმოტრანსპორტის ლიცენზია. ეს დანადგარი, რომელიც ტექნიკის ნამდვილი სიახლეა, შეიქმნა საქართველოში და მოქმედებს თბილისის ახლოს შულავერის კარიერზე. ამ სახის ტრანსპორტით გადააქვთ ღორღი და სხვა მასალები. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს ბ. ქოგულიას.

კითხვა: როგორია ახალი ტიპის ტვირთის საზიდი საშუალება კონტეინერული პნევმოტრანსპორტი?

პასუხი: სახალხო მეურნეობის დარგების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია სასაქონლო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა და ტვირთების ტრანსპორტირების გაძლიერების საჭიროება. ამ საკითხის რაციონალურად გადაჭრა, რაც შეიძლება მინიმალური დანახარჯებით, თანამედროვეობის დიდი პრობლემაა.

რკინიგზის, საავტომობილო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების გზით მისი გადაწყვეტა ხშირ შემთხვევაში დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და არარენტაბელურია. ამიტომ ახალი რაციონალური ტიპის ტრანსპორტის შექმნაზე მრავალი მეცნიერი მუშაობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

და აი ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა ასეთი ახალი ტიპის ტრანსპორტი, რომელსაც კონტეინერული პნევმოტრანსპორტი ეწოდება. იგი წარმოადგენს ფოლადის მილსადენის მაგისტრალს, მოთავსებულია მიწის ზევით ან მიწის ქვეშ და მასში მოძრაობს თავისებური სახის ტვირთსაზიდი მატარებელი. მისი მამოძრავებელი ძალაა ჰაერი.

კითხვა: სად შეიქმნა ეს ახალი ტიპის ტრანსპორტი და რას წარმოადგენს იგი?

პასუხი — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტის „საქსახწყალპროექტის" და რსფსრ „ტრანსავტომატიკის" საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტების ერთობლივი საქმიანობის შედეგად 1970 წელს შეიქმნა პნევმატური ტრანსპორტის საცდელ-სამრეწველო დანადგარის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ინერტული მასალების გადაზიდვას შულავერის კარიერიდან რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონამდე, 2,5 კილომეტრის მანძილზე. ამ დანადგარის მუშაობის პრინციპი და საპროექტო-საკონსტრუქტორო გადაწყვეტა იყრდნობა ჩვენი სპეციალისტების 20-ზე მეტ გამოგონებას, რომელთაგან 9 დაპატენტებულია ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იაპონიაში.

დანადგარი, რომელიც 1971 წლის მაისში გადაეცა საექსპლოატაციოდ, წარმოადგენს ერთი მეტრი დიამეტრის მქონე სატრანსპორტო მილსადენს, რომელსაც დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებში აქვს მიმღებ-გამგზავნი სადგურები.

მილსადენის შიგნით მოძრაობს პნევმომატარებელი, რომელიც შედგება ექვსი კონტეინერისა და ორი პნევმომზიდისაგან. პნევმომზიდები მატარებლის თავში და ბოლოში არიან მიბმული და მათზე ხორციელდება ჰაერის დაწნევა, ტვირთის წონა კონტეინერებში 15 ტონაა, მატარებლის მთლიანი წონა კი—25 ტონა. ჰაერის 0,3 ატმოსფეროს დაწნევით მატარებელი მოძრაობს 45 კილომეტრის სიჩქარით საათში.

საცდელ დანადგარზე ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა განგარიშების სისწორე და ამ სახის ტრანსპორტის დიდი უპირატესობა.

კითხვა: როგორია ამ ტრანსპორტის ეკონომიური მაჩვენებელი?

პასუხი. საცდელ დანადგარზე ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა, რომ იგი ეკონომიურად ხელსაყრელი და ტექნიკურად განსახორციელებელია. ტვირთის გადაზიდვის ღირებულება 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ავტოტრანსპორტით და რკინიგზით.

გარდა ამისა, მას მრავალი სხვა უპირატესობა ახასიათებს: ტვირთის გადაზიდვა დამოკიდებული არ არის კლიმატურ პირობებზე, შეიძლება განვავითაროთ დიდი სიჩქარეები, ნაკლებია ავარიების შესაძლებლობა; გარდა ამისა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონის გამოყენების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა მოსამსახურე პერსონალი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

ყველა ეს უპირატესობა ამ სახის ტრანსპორტს მეტად პერსპექტიულს ხდის.

კითხვა: სად შეიძლება გამოვიყენოთ ამ სახის ტრანსპორტი?

პასუხი: თითქმის ყველგან. ჩვენ მისი გამოყენება დავიწყეთ ინერტული მასალის ტრანსპორტირებით. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის შედგენა არსებული სატრანსპორტო მილსადენის გაგრძელებისა ლილომდე 48 კილომეტრ მანძილზე, რომ შულავერის კარიერიდან უშუალოდ მივაწოდოთ ინერტული მასალები რკინაბეტონის ქარხანას. წელიწადში შულავერიდან ლილოში 2 მილიონ ტონა ტვირთს გადავზიდავთ ისე, რომ არავითარი შეფერხება არ იქნება და ამასთან სხვა სახის ტრანსპორტს ხელს არ შეუშლის.

ახლა ამ მასალის მიწოდება წარმოებს რკინიგზით, ხშირად ადგილი აქვს შეფერხებებს, რკინიგზის გადატვირთულობის გამო. პნევმოტრანსპორტი განზრახულია გამოყენებულ იქნას მიწის კაშხალების მშენებლობაში, კარიერიდან ბალასტის მისაწოდებლად.

ამ სახის ტრანსპორტი შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად. იგი გარდა ეკონომიურობისა, ყურადსაღებია იმითაც, რომ პროდუქტები დაცული იქნება დაზიანებისა და გაფუჭებისაგან. ამ ტრანსპორტს დიდი გამოყენება ექნება ქალაქებში ნაგვის და სხვა სახის ნარჩენების გასაზიდად.

ამ ტრანსპორტის გამოყენება შეიძლება ყველგან, სადაც პროდუქცია შეიძლება მოთავსებულ იქნას კონტეინერებში.

კითხვა: როგორია ამ ტრანსპორტის გამოყენების რეალური პერსპექტივა?

პასუხი: — ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ამ საქმით დაინტერესებული სპეციალისტები და ადგილზე ინახულეს მისი მუშაობა. შთაბეჭდილებათა წიგნში ასახულია დადებითი შეფასებები. საბჭოთა კავშირის ქალაქებში ლენინგრადში, მოსკოვში, დონეცკში და სხვაგან შედგენილი აქვთ პროექტები ამ სახის ტრანსპორტის გამოსაყენებლად ქალაქის ტერიტორიიდან ნაგვის და სხვადასხვა სახის ტვირთების გადატანაზე.

საქართველოს საპროექტო ორგანიზაციას „საქსახწყალპროექტს" პროექტის შედგენის მრავალი თხოვნა მოსდის.

მიმდინარე წლის მარტ-აპრილში საქართველოში ჩამოვიდნენ იაპონიის ორი ფირმის წარმომადგენლები. ისინი ადგილზე გაეცნენ ამ ტრანსპორტის მუშაობას.

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთან მოლაპარაკების შედეგად ერთ-ერთმა მათგანმა, „სუმიტომო სეძის" ფირმამ შეისყიდა ამ დანადგარის ლიცენზია. მათი განცხადებით ისინი ფართოდ აპირებენ მის გამოყენებას, და გამორიცხული არ არის — ადამიანების გადასაყვანადაც.

როგორც ვხედავთ, ეს მომავლის ტრანსპორტია და მას ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

საბჭოთა ალპინიზმის 50 წლისთავისათვის

მწვერვალს „გალაქტიონი" ჰქვია

საბჭოთა ალპინიზმის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა თავისი ალპინისტური ექსპედიცია ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ალპინიზმში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლევან ახვლედიანი). ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ როგორც ქუთაისელი, ასევე თბილისელი და მესტიელი ალპინისტები. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა სპორტის ოსტატი გივი ყალაბეგიშვილი. 11 სექტემბერს მთამსვლელები ალპინისტურ ბანაკ „აილამაში" დაბანაკდნენ და წვრთნას შეუდგნენ (ბანაკის დირექტორი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ჯოკია გუგავა). მათ თავდაპირველად განზრახული ჰქონდათ დაეპყროთ ორი უსახელო მწვერვალი, ერთი მათგანისთვის დაერქმიათ „საბჭოთა ალპინიზმის 50 წელი", ხოლო მეორისათვის — დიდი ქართველი პოეტის ტაბიძის საიუბილეოდ „გალაქტიონი".

16 სექტემბერს მოიერიშე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი შალვა მარგიანი (მოიერიშე ჯგუფის უფროსი), მწვრთნელი გურამ ფანჯიკიძე, სსრ კავშირის ჩემპიონები გიორგი ახვლედიანი და გაიოზ ჩუბინიძე, ბარდღა ონიანი, ზურაბ ჯინჭარაძე, გოდი კაკრიაშვილი და ავთანდილ გურასაშვილი, ცენტრალურ კავკასიონზე, ზესხოს ხეობაში დაიპყრო 4.200 მეტრი სიმაღლის რთული მწვერვალი, რომელსაც დაარქვეს „გალაქტიონი".

მწვერვალის შტურმი რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა და გაგრძელდა 14 საათს. ქროდა ქარი, დროდადრო თოვდა, ძალზე ცუდი იყო ხილვადობა. ლამაზი მწვერვალი „გალაქტიონი" მდებარეობს ცნობილი მწვერვალების „ცურუნგალას", „აილამას", „თეთრი უცნობის" (ახლა „ა. ჯაფარიძე") და „შავი უცნობის" გვერდით.

შემდეგ ბანაკმა უშგულის მახლობლად გადაინაცვლა და მომდევნო დღეებში ერთის ნაცვლად სვანეთის ქედზე დაიპყრო ორი უსახელო მწვერვალი (თვითეული 3.150 მ. სიმაღლისა). ერთ მათგანს მთამსვლელებმა დაარქვეს „საბჭოთა ალპინიზმის 50 წელი", ხოლო მეორეს — „პოეზია".

მისასალმებელია ქუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თაოსნობა, რომელმაც მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა როგორც საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ასევე გალაქტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავს.

გ. რაჭველიშვილი.

სურათებზე: მარცხნივ — მწვერვალები — „საბჭოთა ალპინიზმის 50 წელი" (შუაში) და „პოეზია" (მარჯვნივ); ქვემოთ — მწვერვალი „გალაქტიონი" (შუაში).

ა. ჩარგეიანის ფოტო.

შესარჩევი მატჩი

გუშინ ლუჟნიკში

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ჩილეს ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა გუშინ მოსკოვში.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

საბჭოთა ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ფომენკო, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ვ. კუზნეცოვი, მუნტიანი, დოლმატოვი (გუცაევი), ანდრიასიანი (კოჟემიაკინი), ონიშჩენკო, ბლოხინი.

რამდენიმე სტრიქონით

● **ფეხბურთი.** სოჭში დამთავრდა ოსტატთა გუნდების მინი-ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი კოლექტივი: „დნეპრი", „კარპატი", „არარატი", „შახტიორი", როსტოვის სკა და მოსკოვის „სპარტაკი". ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „შახტიორი" და „სპარტაკი". ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 1:1. პენალტებით გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

გაიმართა მეორე ლიგის მეოთხე ზონის გუნდების საკავშირო პირველობის მორიგი ტური: ბათუმის „დინამო"-კალუგის „ლოკომოტივი" — 1:0; მახარაძის „მერცხალი"-ბრიანსკის „დინამო" — 4:1; სამტრედიის „ლოკომოტივი"-ტირასპოლის „ზვეზდა" — 2:0; სოხუმის „დინამო"-ვლადიმირის „ტორპედო" — 0:1, ფოთის „კოლხეთი"-ტამბოვის „რევტრუდი" — 1:0, ლანჩხუთის „გურია"-რიაზანის „სპარტაკი"—4:1.

● **ხუთჭიდი.** ალმა-ათაში დამთავრდა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. გამარჯვება მოიპოვა უკრაინის ნაკრებმა.

ამინდი

[illegible]

არქტიკული ჰაერის ნაკადის გავლენით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ დაბალი ტემპერატურა აღინიშნება, მოვა წვიმა, მაღალმთიან რაიონებში მოსალოდნელია თოვლჭყაპი, ზოგან ჩამოწვება ნისლი. ბარში 12-16, მთაში 6-10 გრადუსი სითბო იქნება.

დასავლეთ საქართველოში უნალექო, მაგრამ ქარიანი ამინდია მოსალოდნელი. დაბლობ რაიონებში 21-25, მთაში — 13-17 გრადუსი სითბო.

თბილისში იწვიმებს, ტემპერატურა — 14-16 გრადუსი სითბო.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოფიციალური ცხრილი

ვინ რა მოიგო

მე-9 გამოშვება

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1973 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა, მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1973 წლის 25 სექტემბერს ქ. მარნეულში ტირაჟში გათამაშდა 137 ნივთმოგება და 154.863 ფულადი მოგება 279.000 მანეთი თანხისა. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება მან. კაპ.
62016	437 *)	ტელევიზორი	432—00
62018	1—500	10 მანეთი	—
62023	340 *)	20 მანეთი	—
62024	051 *)	მაცივარი	265—00
62041	252 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
62055	204 *)	200 მანეთი	—
62059	274 *)	მაცივარი	265—00
62067	251 *)	25 მანეთი	—
62068	325 *)	100 მანეთი	—
62077	217 *)	100 მანეთი	—
62096	379 *)	25 მანეთი	—
62105	274 *)	30 მანეთი	—
62108	460 *)	20 მანეთი	—
62113	420 *)	კინოაპარატი	150—00
62117	025 *)	300 მანეთი	—
62121	069 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62129	173 *)	50 მანეთი	—
62136	252 *)	პიანინო	650—00
62146	220 *)	მაცივარი	265—00
62159	236 *)	50 მანეთი	—
62175	351 *)	მაცივარი	265—00
62183	448 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62194	348 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62201	282 *)	30 მანეთი	—
62210	002 *)	300 მანეთი	—
62215	429 *)	30 მანეთი	—
62225	281 *)	20 მანეთი	—
62236	004 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62268	065 *)	125 მანეთი	—
62289	253 *)	100 მანეთი	—
62291	148 *)	20 მანეთი	—
62309	318 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62323	466 *)	300 მანეთი	—
62328	100 *)	100 მანეთი	—
62339	126 *)	25 მანეთი	—
62350	259 *)	20 მანეთი	—
62351	398 *)	მაცივარი	265—00
62353	075 *)	მაგნიტოლა	158—00
62372	077 *)	ფოტოაპარატი	23—00
62376	332 *)	30 მანეთი	—
62385	187 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
62409	391 *)	30 მანეთი	—
62432	214 *)	პიანინო	650—00
62444	327 *)	500 მანეთი	—
62455	425 *)	25 მანეთი	—
62472	197 *)	50 მანეთი	—
62489	279 *)	პიანინო	650—00
62498	392 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
62510	180 *)	50 მანეთი	—
62515	1—500	15 მანეთი	—
62531	340 *)	მაცივარი	265—00
62543	421 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62544	117 *)	30 მანეთი	—
62548	394 *)	50 მანეთი	—
62556	428 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62562	011 *)	100 მანეთი	—
62571	321 *)	50 მანეთი	—
62586	045 *)	ავტომობილი „ჟიგული"	5500—00
62588	055 *)	კინოაპარატი	150—00
62594	324 *)	50 მანეთი	—
62596	242 *)	მაგნიტოლა	158—00
62613	415 *)	მაცივარი	265—00
62622	372 *)	100 მანეთი	—
62633	070 *)	მაგნიტოლა	158—00
62636	093 *)	100 მანეთი	—
62648	305 *)	30 მანეთი	—
62649	402 *)	200 მანეთი	—
62656	028 *)	50 მანეთი	—
62663	206 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
62667	488 *)	ავტომობილი „ჟიგული"	5500—00
62678	278 *)	50 მანეთი	—
62679	400 *)	მაცივარი	265—00
62680	380 *)	მაცივარი	265—00
62709	173 *)	20 მანეთი	—
62718	283 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
62729	454 *)	50 მანეთი	—
62730	384 *)	25 მანეთი	—
62739	406 *)	კინოაპარატი	150—00
62743	467 *)	კინოაპარატი	150—00
62766	386 *)	კინოაპარატი	150—00
62778	151 *)	30 მანეთი	—
62781	370 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება მან. კაპ.
62785	098 *)	50 მანეთი	—
62805	226 *)	125 მანეთი	—
62827	057 *)	25 მანეთი	—
62841	274 *)	30 მანეთი	—
62842	354 *)	50 მანეთი	—
62843	012 *)	300 მანეთი	—
62848	418 *)	125 მანეთი	—
62856	151 *)	მაცივარი	265—00
62858	109 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62860	010 *)	მაცივარი	265—00
62863	403 *)	50 მანეთი	—
62875	180 *)	ელექტროსამართებელი	18—00
62882	367 *)	20 მანეთი	—
62884	058 *)	100 მანეთი	—
62885	122 *)	20 მანეთი	—
62888	464 *)	200 მანეთი	—
62900	196 *)	მაცივარი	265—00
62903	357 *)	50 მანეთი	—
62917	431 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
62940	407 *)	50 მანეთი	—
62948	181 *)	20 მანეთი	—
62952	449 *)	მაცივარი	265—00
62954	163 *)	50 მანეთი	—
62988	162 *)	კინოაპარატი	150—00
62992	452 *)	200 მანეთი	150
63000	204 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
63009	234 *)	30 მანეთი	—
63019	100 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63033	132 *)	20 მანეთი	—
63056	333 *)	20 მანეთი	—
63068	178 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63073	057 *)	კინოაპარატი	150—00
63075	299 *)	200 მანეთი	—
63080	047 *)	ფოტოაპარატი	23—00
63092	164 *)	50 მანეთი	—
63093	082 *)	50 მანეთი	—
63099	485 *)	30 მანეთი	—
63111	490 *)	100 მანეთი	—
63119	015 *)	500 მანეთი	—
63138	332 *)	50 მანეთი	—
63152	235 *)	100 მანეთი	—
63173	319 *)	50 მანეთი	—
63177	017 *)	100 მანეთი	—
63191	284 *)	მაცივარი	265—00
63192	346 *)	125 მანეთი	—
63194	411 *)	მაცივარი	265—00
63212	020 *)	50 მანეთი	—
63250	383 *)	200 მანეთი	—
63256	308 *)	25 მანეთი	—
63278	381 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
63284	436 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
63317	285 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
63320	175 *)	30 მანეთი	—
63323	288 *)	500 მანეთი	—
63332	243 *)	მაცივარი	265—00
63348	384 *)	25 მანეთი	—
63356	367 *)	კინოაპარატი	150—00
63386	033 *)	50 მანეთი	—
63387	109 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63390	428 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
63395	168 *)	50 მანეთი	—
63401	234 *)	300 მანეთი	—
63410	254 *)	მაცივარი	265—00
63420	278 *)	ავტომობილი „მოსკვიჩი"	4936—00
63433	263 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63453	476 *)	50 მანეთი	—
63461	257 *)	500 მანეთი	—
63466	114 *)	მაცივარი	265—00
63481	171 *)	200 მანეთი	—
63500	151 *)	20 მანეთი	—
63516	224 *)	30 მანეთი	—
63522	198 *)	25 მანეთი	—
63528	247 *)	მაცივარი	265—00
63536	014 *)	200 მანეთი	—
63537	053 *)	მაცივარი	265—00

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება მან. კაპ.
63543	375 *)	100 მანეთი	—
63548	048 *)	კინოაპარატი	150—00
63563	256 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
63577	451 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63590	387 *)	მაცივარი	265—00
63613	335 *)	მაცივარი	265—00
63616	023 *)	30 მანეთი	—
63618	420 *)	მაცივარი	265—00
63633	136 *)	პიანინო	650—00
63642	233 *)	30 მანეთი	—
63662	287 *)	ავტომობილი „ზაპოროჟეცი"	3500—00
63673	1—500	10 მანეთი	—
63685	083 *)	მაცივარი	265—00
63708	053 *)	ავტომობილი „ჟიგული"	5500—00
63731	437 *)	მაცივარი	265—00
63736	342 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
63747	297 *)	ტელევიზორი	432—00
63751	130 *)	კინოაპარატი	150—00
63770	347 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63779	477 *)	მაცივარი	265—00
63812	239 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63827	353 *)	125 მანეთი	—
63858	477 *)	მაცივარი	265—00
63887	138 *)	ელექტროსამართებელი	18—00
63897	382 *)	200 მანეთი	—
63900	061 *)	მაცივარი	265—00
63901	094 *)	30 მანეთი	—
63909	185 *)	25 მანეთი	—
63916	333 *)	პიანინო	650—00
63920	485 *)	მაცივარი	265—00
63941	270 *)	ავტომობილი „ზაპოროჟეცი"	3500—00
63942	181 *)	300 მანეთი	—
63951	007 *)	ავტომობილი „ვოლგა"	9150—00
63955	332 *)	100 მანეთი	—
63965	026 *)	მაცივარი	265—00
63967	072 *)	200 მანეთი	—
63968	133 *)	30 მანეთი	—
63972	249 *)	100 მანეთი	—
63973	476 *)	50 მანეთი	—
63984	405 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
63989	294 *)	100 მანეთი	—
63991	036 *)	200 მანეთი	—
63992	114 *)	50 მანეთი	—
63994	467 *)	25 მანეთი	—
63996	357 *)	200 მანეთი	—
64012	133 *)	ფოტოაპარატი	23—00
64029	212 *)	ავტომობილი „ჟიგული"	5500—00
64048	319 *)	კინოაპარატი	150—00
64055	137 *)	30 მანეთი	—

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება მან. კაპ.
64062	212 *)	200 მანეთი	—
64083	201 *)	30 მანეთი	—
64092	1—500	10 მანეთი	—
64100	195 *)	100 მანეთი	—
64104	479 *)	კინოაპარატი	150—00
64106	360 *)	1000 მანეთი	—
64129	466 *)	100 მანეთი	—
64135	290 *)	50 მანეთი	—
64138	369 *)	125 მანეთი	—
64140	416 *)	მაცივარი	265—00
64149	304 *)	მაცივარი	265—00
64153	228 *)	50 მანეთი	—
64159	250 *)	მაგნიტოლა	158—00
64162	436 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64182	149 *)	მაცივარი	265—00
64203	384 *)	200 მანეთი	—
64208	057 *)	პიანინო	650—00
64215	265 *)	30 მანეთი	—
64219	031 *)	კინოაპარატი	150—00
64235	221 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64239	155 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64253	456 *)	კინოაპარატი	150—00
64271	457 *)	ფოტოაპარატი	23—00
64302	111 *)	პიანინო	650—00
64324	055 *)	მაგნიტოლა	158—00
64327	051 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64333	385 *)	500 მანეთი	—
64339	384 *)	კინოაპარატი	150—00
64376	263 *)	125 მანეთი	—
64386	207 *)	ავტომობილი „ზაპოროჟეცი"	3500—00
64392	261 *)	20 მანეთი	—
64396	341 *)	კინოაპარატი	150—00
64420	391 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64431	335 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64434	139 *)	პიანინო	650—00
64438	203 *)	30 მანეთი	—
64451	461 *)	ავტომობილი „ზაპოროჟეცი"	3500—00
64479	182 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
64483	236 *)	100 მანეთი	—
64490	407 *)	50 მანეთი	—
64501	029 *)	20 მანეთი	—
64513	137 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64520	355 *)	100 მანეთი	—
64533	127 *)	50 მანეთი	—
64538	463 *)	25 მანეთი	—
64539	108 *)	მაცივარი	265—00
64544	053 *)	25 მანეთი	—
64556	098 *)	მაცივარი	265—00
64559	039 *)	მაცივარი	265—00
64575	372 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64587	266 *)	50 მანეთი	—
64589	034 *)	300 მანეთი	—

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ღირებულება მან. კაპ.
64614	056 *)	მაცივარი	265—00
64615	239 *)	50 მანეთი	—
64653	495 *)	25 მანეთი	—
64654	290 *)	1000 მანეთი	—
64657	219 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
64658	367 *)	25 მანეთი	—
64679	331 *)	20 მანეთი	—
64707	461 *)	25 მანეთი	—
64711	209 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტული მატარებლით „საქართველო"	165—00
64718	248 *)	ავტომობილი „მოსკვიჩი"	4936—00
64719	149 *)	მაცივარი	265—00
64723	102 *)	100 მანეთი	—
64730	440 *)	კინოაპარატი	150—00
64737	122 *)	25 მანეთი	—
64758	180 *)	30 მანეთი	—
64759	047 *)	100 მანეთი	—
64761	231 *)	1000 მანეთი	—
64768	357 *)	30 მანეთი	—
64777	432 *)	100 მანეთი	—
64786	138 *)	20 მანეთი	—
64796	300 *)	მაცივარი	265—00
64803	375 *)	100 მანეთი	—
64809	144 *)	25 მანეთი	—
64813	300 *)	100 მანეთი	—
64814	389 *)	25 მანეთი	—
64821	131 *)	25 მანეთი	—
64822	077 *)	50 მანეთი	—
64823	031 *)	25 მანეთი	—
64830	401 *)	200 მანეთი	—
64851	474 *)	პიანინო	650—00
64861	305 *)	100 მანეთი	—
64868	184 *)	ტელევიზორი	432—00
64880	172 *)	100 მანეთი	—
64882	028 *)	50 მანეთი	—
64891	015 *)	100 მანეთი	—
64908	353 *)	50 მანეთი	—
64912	314 *)	კინოაპარატი	150—00
64915	311 *)	ტრანზისტორი „ვეფ-201"	93—00
64923	160 *)	20 მანეთი	—
64931	390 *)	პიანინო	650—00
64938	438 *)	20 მანეთი	—
64955	283 *)	100 მანეთი	—
64988	186 *)	ელექტროსამართებელი	18—00
64993	198 *)	20 მანეთი	—
64999	374 *)	30 მანეთი	—
65023	036 *)	20 მანეთი	—
65035	361 *)	125 მანეთი	—
65038	402 *)	50 მანეთი	—
65046	192 *)	50 მანეთი	—
65055	233 *)	100 მანეთი	—
65070	202 *)	ავტომობილი „ზაპოროჟეცი"	3500—00
65091	015 *)	მაცივარი	265—00

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთებს დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების მოცემული სერიის ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ნივთმოგებათა და ფულად მოგებათა გაცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი:

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულებას მოგებული ნივთის ნაცვლად, აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს ყველა შემნახველი სალარო. 50 მანეთის ზევით მოგებათა თანხებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში, მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს, ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდ გაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე ელექტროქსელის ძაბვა, ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთი, რომელსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარდგენილი იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1974 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ცხინვალის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოსა და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა მოგებული ნივთის გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე
მარნეულის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ზოტიადისი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ქ. გოგოლაშვილი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი ვ. ბველესიანი.

ტელევიზია

27 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — დოკუმენტური ფილმი, 11.45 — კინოპროგრამა, 12.25 — მხატვრული ფილმი „ცეცხლის მოთვინიერება" (პირველი სერია, ქართული ვარიანტი), 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში; 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის. „შენი საზღვარგარეთელი თანატოლი", 18.35 — „სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი", 18.45 — „საბჭოთა ალპინიზმი 50 წლისაა", 19.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „1945 წლის ზამთარი და გაზაფხული" (მესამე სერია), 20.10 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რადიოდივერსანტები" (პრემიერა), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ცოდნა", 23.00—გადაცემა მუსიკის მოყვარულთათვის, 23.50 — სპორტული პროგრამა: 1. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-რუმინეთი. (მეორე ტაიმი, გადმოცემა ლაიფციგიდან), 2. ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ესპანეთიდან).

მეორე პროგრამით

17.10 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (IX, X-კლასელთათვის ანალიზური გეომეტრიის ზოგიერთი საკითხის სწავლება), 18.00 — კინონარკვევი, 18.10 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა (მეშვიდე-კლასელთათვის ზმნის პირი და რიცხვი), 18.35 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად: მასალათა გამძლეობაში, 19.35 — პოლიტეკონომიაში, 20.35 — განცხადებები, 20.40 — მხატვრული ფილმი „სოფლის ექიმი".

რადიო

28 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — „მოგითხრობთ კომუნისტებზე", 12.15 — მღერის ანსამბლი „დიელო", 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა", 12.45 — კონცერტი, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება" — უკრავს გ. კრემერი, 17.40 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრები კ. ზუკოვსკისთან", 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა", 20.20 — მსუბუქი მუსიკა, 20.30 — რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!", 21.00 — „ძილისპირული", 22.00 — „ვუმღერით შრომას", ქართველი პოეტების ლექსები, 23.30 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ქეთო და კოტე", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ვნახოთ, და მოვისმინოთ

თეატრები

27 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მოსამართლე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — თოვლიანი მთების მელოდიები.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამინისტროს შრომის ორგანიზაციის, ხელფასისა და მუშათა კადრების განყოფილების ყოფილი უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, პერსონალური პენსიონერი

ნიკოლოზ მიხეილის-ძე წულუკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

აკაკი დომენტის-ძე ლალიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60463 ლე 12647 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.